



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

**თემა: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა აღსრულებასთან
დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები**

სტუდენტი:

ანა მურუსიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი

ნიკოლოზ ფიცხელაური

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია-----	3
Annotation-----	4
შესავალი-----	5
თავი I . ლიტერატურის მიმოხილვა -----	8
1.1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა-----	8
1.2. საერთაშორისო ხელშეკრულებები საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით-----	12
1.3. ქართული კანონმდებლობის მიმოხილვა-----	15
თავი II. საარბიტრაჟო სამართალწარმოების აღწერა-----	18
2.1. არბიტრაჟის შექმნის ისტორია-----	18
2.2. არბიტრაჟის ფუნქციონირების თავისებურებანი-----	20
2.3. საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები-----	22
2.4. წინასაარბიტრაჟო მზადება და არბიტრების არჩევა-----	24
2.5. არბიტრების აცილება-----	27
თავი III. საარბიტრაჟო განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა, გაუქმება, აღსრულება-----	30
3.1. საარბიტრაჟო განხილვა-----	30
3.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა და გაუქმება-----	33
3.3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება-----	38
თავი IV. კვლევის შედეგები-----	51
დასკვნა-----	53
გამოყენებული ლიტერატურა-----	56

ანოტაცია

თემა მოიცავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივ საკითხებს. თანამედროვე სამართლებრივ ურთიერთობებში საარბიტრაჟო სამართალწარმოება სულ უფრო პოპულარული და მოთხოვნადი ხდება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განვიხილო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები. წარმოვაჩინო ის პრობლემები რაც გვხვდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა - აღსრულებასთან დაკავშირებით.

პირველ თავში მიმოხილულია გამოყენებული ლიტერატურა და კანონმდებლობა. ასევე განმარტებულია არბიტრაჟის ცნება, მოკლედ არის გადმოცემული მისი განვითარების ისტორია, არბიტრაჟების კლასიფიკაცია.

მეორე თავში მოცემულია კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები. შეჯამებულია ის პროვლემური საკითხები რაც კვლევის პროცესში გამოიკვეთა.

დასკვნაში გადმოცემულია ჩემი აზრი თეორიული მასალის დამუშავების და კვლევის შედეგებიდან გამომდინარე. რეკომენდაციის სახით მოცემულია პრობლემის მოგვარების გზები.

Annotation

The topic covers legal issues related to the recognition and enforcement of arbitration. Arbitration proceedings are becoming more and more popular in modern legal relations.

The purpose of the present paper is to discuss the legal issues related to the recognition and enforcement of an arbitral award. To illustrate the problems encountered in the award of arbitration – enforcement.

The first chapter reviews the literature and legislation used. The notion of arbitration is also explained, with a brief history of its development, classification of arbitrations.

The second chapter presents the research methodology and results. The problematic issues outlined in the research process are summarized.

In conclusion, my opinion is drawn from the results of theoretical material processing and research. The recommendation provides ways to solve the problem.

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა:

საუკუნეთა განმავლობაში ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანები კონფლიქტების გადასაჭრელად სასამართლოს მიმართავენ. თუმცა კვლავ არ წყდება ფიქრი იმისათვის, რომ შეიქმნას კიდევ უფრო დახვეწილი და შედარებით უნაკლო სისტემა ნებისმიერი სახის დავის გადასაწყვეტად.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი არბიტრაჟის მიმართ. ნელ-ნელა იკვეთება მისი როლი და მნიშვნელობა.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ქართულმა სასამართლო სისტემამ ბევრი დიდი თუ პატარა ხარისხის ცვლილებები განიცადა. ამ პროცესს, რა თქმა უნდა ხაარვეზებიც ახლდა თან. საჭიროა ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების დანერგვა, რომელთა წარმატებით განხორციელებისათვის მხოლოდ უცხოური ქვეყნების გამოცდილება არ იქნება საკმარისი. სამართლის მეცნიერებაში ბევრი ისეთი ახალი სფეროა, რომელიც შედარებით უცნობი და ცოტათი მიუღებელიც კია ქართული საზოგადოებისათვის. ახალი უცხოური სამართლებრივი ინსტიტუტის შემოტანა და ქართულ სინამდვილესთან ჰარმონიზაცია ბევრ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან გასათავლისწინებელია უამრავი ფაქტორი და მეცნიერული დამუშავების დონე.¹

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესია დავების გადაწყვეტა სწრაფად და მარტივად. წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია განხილულ იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი საკითხები. მუშაობისა და კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა:

კვლევის მიზნები:

კვლევის მიზანს წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების მიმოხილვა, არბიტრაჟის განვითარების ისტორიული მახასიათებლების შესწავლა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ხარვეზების განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ძირითადი მახასიათებლების შესწავლა და მათი შედარებითი ანალიზი საქართველოს კანონმდებლობასთან. გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული საკითხები აქტუალური და ამავე დრო პრობლემატურია.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა შემდეგი საკითხები :

¹ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ.1.

- რა ძირითად ფაქტორებზე შეიძლება ვისაუბროთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებით
- რა ბერკეტებით მიმდინარეობს საქართველოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული პროცესები
- რა სახის ხარვეზებსა და გაუმართაობაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება
- არბიტრაჟის განვითარების ისტორიული მახასიათებლების შესწავლა
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ხარვეზების განსაზღვრა.
- საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ძირითადი მახასიათებლების შესწავლა და მათი შედარებითი ანალიზი საქართველოს კანონმდებლობასთან.

კვლევის ამოცანები:

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული ძირითადი მახასიათებლებისა და ტენდენციების გამოვლენა

- საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული სისიტემის ეფექტურობის შესწავლა და ანალიზი
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრეცედენტების შედარებითი ანალიზი და ძირითადი ტენდენციების გამოვლენა.
- მიმდინარე სამართლებრივი რეგულაციების შესწავლა და ანალიზი. სამართლებრივი კუთხით იმ ხარვეზების გამოვლენა, რაც ხელს უშლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურ და გამართულ მუშაობას

კვლევის მეთოდები:

კვლევის საფუძველია, როგორც ისტორიული, შედარებით - სამართლებრივი, სტატისტიკური მეთოდები. ასევე გამოყენებულია ლოგიკური ანალიზი. განხილულია თანამედროვე კვლევები. საკვლევი თემის გარშემო არსებული ნაშრომები და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მონოგრაფიები.

კვლევის ისტორიული მეთოდი გამოყენებულია არბიტრაჟის განვითარების ტენდენციების შესასწავლად. მისი საშუალებით წამოვაჩინე არბიტრაჟის როლი და მნიშვნელობა ქართულის სამართლის სისტემაში.

სტატისტიკური და დოკუმენტური მეთოდი დამეხმარა გამემყარებინა და თვალსაჩინო გამხდრაიყო მსჯელობის მნიშვნელობა. სასამართლო პრაქტიკის გამოყენებით დავასაბუთე მიღებული დასკვნები.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებათან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების კვლევის პროცესისთვის გამოყენებულია სტატისტიკური ცნობები თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან. რადგად თბილისის უზენაესმა და სააპელაციო სასამართლომ ჩემს მიმართვაზე რეაგირება არ მოახდინა სტატისტიკური ცნობები აღებულია წიგნიდან „არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში“. სააპელაციო სასამართლოს საძიებო სისტემისა და უზენაესი სასამართლოს საძიებო სისტემის მეშვეობით შეძლებისდაგვარად მოვიძიე სასამართლო პრაქტიკა.

2013-2017 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სულ განიხილა 37 შუამდგომლობა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობააღსრულების შესახებ, ამთგან: დაკმაყოფილდა 22; არ დაკმაყოფილდა 4; განუხილველი დარჩა 11.²

ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საარბიტრაჟო საქმეებთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობების სტატისტიკა ასეთია: 2013 წელს განხილულია 3 523 შუამდგომლობა, 2014 – 3669; 2015- 2532; 2016-3268. უფრო დეტალურ სტატისტიკას თბილისის სააპელაციო სასამართლო სამწუხაროდ არ აწარმოებს.³

² არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018, გვ. 20-21.

³ იქვე, გვ. 20-21.

თავი I . ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოქმედებს სასამართლო, რომელიც ქვეყნის შიგნით არსებული დავების გადასაწყვეტად გამოიყენება და ქვეყანაში ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას. გარდა სასამართლო ხელისუფლებისა არსებობს დავის გადაწყვეტილს ალტერნატიული გზები, რომელთაგანაც ყველაზე გავრცელებულია არბიტრაჟი. საარბიტრაჟო სამართალში ყველაზე ხშირად ვაწყდებით მისი გადაწყვეტილების ცნობა -აღსრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, სწორედ ეს საკითხია ჩემი განხილვის ობიექტი.

არბიტრაჟთან დაკავშირებით ქართულ სამართალში სამეცნიერო ლიტერატურის სიმწირეა, მაგრამ მაინც არსებობს გარკვეული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც გამოვიყენე თემაზე მუშაობის პროცესში. მათგან უნდა გამოვარჩიო ყველაზე ვრცელი გიორგი ცერცვაძის ნაშრომი „საერთაშორისო არბიტრაჟი“ (შედარებითი ანალიზი), იგი დეტალურად აღწერს საერთაშორისო არბიტრაჟს, მისი შექმნის და განვითარების ისტორიას, საარბიტრაჟო დავების გახილვის დადებით და უაროვით მხარეებს. ასევე განმარტავს დელოკალიზაციის თეორიას.

დელოკალიზაციის თეორია გულისხმობს არბიტრაჟის, როგორც დავების გადაწყვეტის ინსტიტუტის საერთაშორისო ბუნების წარმოჩენას.⁴ არბიტრაჟის განვითარებამ ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მიდგომები ჩამოაყალიბა. ხელის შემშლელ ფაქტორებად აღარ გვევლინება სახელმწიფოების განსხვავებული სამართლებრივი სისტემები, სხვადასხვა სახელმწიფოს სუბიექტებს არ წარმოექმნებათ შეზღუდვები არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებასთან დაკავშირებით.⁵

არბიტრაჟი ნაწილობრივ ავტონომიურია და არ არის დამოკიდებული რომელიმე სახელმწიფოს მართლწესრიგზე, სწორედ ჩამოთვლილი გარემოებების არსებობამ განაპირობა არბიტრაჟის დელოკალიზაციის თეორიის წარმოშობა.⁶

დელოკალიზაციის თეორიის თანახმად არბიტრაჟი არანაციონალური ინსტიტუტია და არ საჭიროებს კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში მოქმედებას, ის არ ექცევა კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ ჩარჩოებში.⁷

მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია ძალიან პოპულარულია, მას არ იზიარებს ყველა სახელმწიფო. მაგალითად, ლათინური ამერიკის სახელმწიფოები ხელოვნურად ცდილობენ

⁴ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2008, გვ. 23.

⁵ იქვე, გვ. 23

⁶ იქვე, გვ. 23

⁷ იქვე, გვ. 23

არბიტრაჟისთვის ბარიერების შექმნას და მის სრულ გაკონტოლებას, ხოლო ცენტრალური აზიის ზოგიერთი სახელმწიპო საერთოდ არ აღიარებს კერძო არბიტრაჟს და შესაბამისად არც კანონმდებლობა გააჩნიათ.⁸

როგორც ავტორი განმარტავს „დელოკალიზაციის თეორიის პრაქტიკული დანიშნულება არბიტრაჟის საქმიანობაში სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს ჩაურევლობის აღიარებაშია.“⁹

ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო, რომელიც ასევე გამოყენებულია ნაშრომში არის სტივენ მ. ოსტერმილერისა და დილენ რ. სვენსორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში“. ავტორის თქმით წიგნი მიზნად ისახავს დავის გადამწყვეტი ალტერნატიული საშუალებების პოპულარიზაციას საქართველოში. როგორც ავტორები განმარტავენ ნაშრომის შექმნის მიზანია ქართველი სტუდენტებისა და პროფესორებისთვის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გაცნობა და პოპულარიზაცია.¹⁰

საქართველოს ყოველდღიურ პრაქტიკაში ძალიან ხშირად ვხვდებით დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვადასხვა საშუალებებს. ყველაზე გავრცელებული ხერხია მოლაპარაკების გზით დავის გადაწყვეტა.¹¹ ამ ხერხით რობლემის მოგვარებას ვხვდებით თითქმის ყველა ტიპის ურთიერთობისას. როგორც მოლაპარაკების გზით დავის გადაწყვეტა ასევე მედიაციაც დავის გადაწყვეტის ტრადიციული გზაა, მას ხშირად მიმართავენ საოჯახო დავების გადასაწყვეტად.¹² ხოლო ბიზნეს ურთიერთობების გადასაწყვეტად უფრო ხშირად მიმართავენ არბიტრაჟს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი არბიტრაჟთან დაკავშირებით.

საქართველოში საარბიტრაჟო სამართალთან და უშუალოდ ქართულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით ვრცელი სადისერტაციო ნაშრომი აქ ნიკოლოზ ფიცხელაურს, თემაზე: „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობით“.

ავტორის განმარტებით, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავების გადაწყვეტისას, ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შესწავლის შედეგად წარმოჩნდა მედიაციისა და არბიტრაჟის

⁸ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2008, გვ. 24.

⁹ იქვე, გვ. 27.

¹⁰ ს. მ. ოსტერმილერი, დ. რ. სვენსორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014, გვ. 3.

¹¹ იქვე, გვ. 3

¹² იქვე, გვ. 3

უპირატესობა საერთო სასამართლოებთან შედარებით.¹³ განსაზღვრავს არბიტრაჟებისა და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების ძირითად ასპექტებს და გამოავლენს ხარვეზებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საარბიტრაჟო ინსტიტუტის განვითარებასთან საქართველოში.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეები და ცვლილებები, წარმოჩენილი მათი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს საარბიტრაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ნაშრომში საფუძვლიანად არის შესწავლილი საქართველოსა და სხვა ქვეყნების საარბიტრაჟო საკანონმდებლო აქტები და სასამართლო პრაქტიკა.¹⁴ გავლენულია პარალელები და გამოკვეთილია თავისებურებანი. გაანალიზებულია ქართული რეალობა, აღნიშნულია არბიტრაჟთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი ძირითადი მიზეზები და განსაზღვრულია მათი დაძლევის გზები.¹⁵

ნაშრომში ასევე გამოყენებულია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შექმნილი წიგნი: „გზამკვლევი არბიტრაჟში“ საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის. წიგნის ავტორები არიან: ლიანა ქარცივაძე, თეონა ჟიჟიაშვილი, თამარ მორჩილაძე, გიორგი კეკელიძე.

ვინაიდან მოსამართლეები არსებით როლს ასრულებენ არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმის განვითარებაში, სწორედ ამიტომ ეს გზამკვლევი ეხმიანება საქართველოში მოსამართლეთა პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს.¹⁶

ნაშრომში მოცემულია შედარებები საქართველოს კანონმდებლობის მოდელურ კანონთან, ასევე მოცემულია მოდელური კანონის გამოყენების მაგალითები როგორც საქართველოში ასევე სხვა ქვეყნებში.

ეს ნაშრომი უმაღლად ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა სასამართლოს მიერ არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობა, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა აღსრულება, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოცემა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება და საარბიტრაჟო გადაწყვეტების ცნობა-აღსრულება. აღნიშნული საკითხები მოიცავს ყველა შემთხვევას, როდესაც სააპელაციო

¹³ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 3

¹⁴ იქვე, გვ. 3

¹⁵ იქვე, გვ. 3

¹⁶ გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბ., 2017, გვ. 2

სასამართლოს შეუძლია არბიტრაჟის გაკონტროლება. ამ გზამკვლევით მოცემული საკითხები მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველო.¹⁷

გზამკვლევი შედგება ხუთი თავისგან. ესენია: არბიტრაჟის ცნობა არაკომპეტენტურად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ ნაწილს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესუალურ ნაწილს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და მისი ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს.

¹⁷ გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბ., 2017, გვ. 2

1.2 საერთაშორისო ხელშეკრულებები საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით

არბიტრაჟის საერთაშორისო დონეზე რეგულირება მოიცავს როგორც უნივერსალური ტიპის, ისე რეგიონალური ხასიათის ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

ჟენევის კონვენცია - პირველ საერთაშორისო სამართლებრივ აქტად კერძო არბიტრაჟის სფეროში მიიჩნევა ჟენევის 1923 წლის ოქმი საარბიტრაჟო დათქმების შესახებ, რომელსაც 1927 წელს მოჰყვა ჟენევის კონვენცია. ამ კონვენციამ გაითვალისწინა პირველად „ორმაგი ეგზეკვატურის პრონციპი“. კონტროლის ასეთი გაძლიერებული ფორმა შემდგომში გაუმართლებლად იქნა მიჩნეული და საბოლოოდ იგი გააუქმა ნიუ-იორკის კონვენციამ, რომელიც მიიჩნევა ძირითად სამართლებრივ კატალიზატორად არბიტრაჟის განვითარებისთვის.¹⁸

ნიუ-იორკის კონვენცია უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ - ნიუ-იორკში 1958 წელს მიღებულ იქნა კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“¹⁹ (შემდგომში ნიუ-იორკის კონვენცია), რომელიც დღემდე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. კონვენციის შექმნის მიზანი იყო მნიშვნელოვნად გაეზარდა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის როლი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სწრაფი იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფით, რომელიც გამომდინარეობდა მხარეების ნებისგან. პროექტში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულებისას მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა ნების ავტონომიის გამოვლენა. თუმცა ამ იდეის სრულფასოვნად განხორციელება არ მომხდარა.

კონვენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი მოცემულია მე-3 მუხლში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მას წინამდებარე კონვენციის ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისას, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია – არ შეიძლება დაწესებულ იქნას არსებითად უფრო მეტი დამაბრკოლებელი პირობები, ან უფრო მაღალი ბაჟი, ვიდრე შიდა გადაწყვეტილებების აღსრულებისას.²⁰

¹⁸ ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობარი მოსამართლეებისთვის, კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, თბ., გვ. 80-85.

¹⁹ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“

²⁰ იქვე

ნიუ-იორკის კონვენციის წარმატება სამი ფაქტორითაა განპირობებული: ა. 130-ზე მეტი სახელმწიფო მონაწილეობს ამ კონვენციაში. კერძო სამართალში არსებობს მხოლოდ რამოდენიმე კონვენცია, რომლებსაც ასეთივე ფართო საერთაშორისო გამოყენება აქვს. ბ. ნიუ-იორკის კონვენციის მიერთების დანიშნულება არის ის, რომ სასამართლო თვალყურს ადევნებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს, რათა გაიგოს რომელი დებულება იქნა გამოყენებული შესაბამის სამართლებრივ დავაზე. გ. მესამე გამომდინარეობს წინა ორი ფაქტორიდან, რომ იმ ქვეყნებში, რომლებიც მიერთებულნი არიან ნიუ-იორკის კონვენციას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს სასამართლოების მიერ.

ევროპის კონვენცია საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ (შემდგომში ევროპის კონვენცია) მიღებულ იქნა 1961 წელს. იგი შეიქმნა ცივი ომის პერიოდში და მისი მიზანი იყო დახმარება გაეწია აღმოსავლეთსა და დასავლეთ ქვეყნებ შორის ვაჭრობისათვის. საქართველო არ არის ამ კონვენციის მონაწილე ქვეყანა.

მნიშვნელოვანი წესები, რომელიც კონვენციამ დაამკვიდრა არის: ა. არბიტრები შეიძლება იყვნენ არამართო იმ ქვეყნს მოქალაქეები, რომელშიც საარბიტრაჟო სამართალწარმოება მიმდინარეობს, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც. ბ. გათვალისწინებულია იმ იურიდიული პირების სამართალი, რომლებიც ნაციონალური კანონმდებლობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენენ. კონვენციის მიხედვით მათ შეუძლიათ მიმართონ არბიტრაჟს, როცა ხშირ შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მხოლოდ სახელმწიფო სასამართლოს მიმართვის უფლება აქვთ. გ. დაწესებულია შეუზღუდავი ნების ავტონომია გამოსაყენებელი სამართლის არჩევისას და ბოლოს, არბიტრებს შეუძლიათ მხარეების შეთანხმებით გამოიტანონ გადაწყვეტილება „მეგობრული შუამავლის“ სახით.²¹

ვაშინგტონის კონვენცია საინვესტიციო დავების მოგვარების შესახებ - 1965 წელს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის ინიციატივით შეიქმნა კონვენცია „სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს შორის საინვესტიციო დავის გადაწყვეტის შესახებ“ (შემდგომში ვაშინგტონის კონვენცია). ამ კონვენციით შეიქმნა საინვესტიციო დავების რეგულირების საერთაშორისო ცენტრი, რომლის მიერ დავების განხილვისა და გადაწყვეტისათვის შერჩეულ იქნა არბიტრაჟის ფორმა. 2003 წლისთვის ვაშინგტონის კონვენციის რატიფიცირება 130-ზე მეტმა სახელმწიფოს ჰქონდა.²²

²¹ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“

²² გ. ცერცვაძე, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბ., 2013, გვ. 32-33.

ვამინგტონის კონვენციის იურისდიქცია ვრცელდება იმ ინვესტორზე, რომელიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს სუბიექტია და ინვესტირებას ახორციელებს ამ კონვენციის მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.²³

კონვენციის ფარგლებში ყოველ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა, რომ საარბიტრაჟო განხილვაზე თანხმობის პირობად მოითხოვოს მანადე ამოწურულ იქნეს სამართლებრივი დავის ყველა ადგილობრივი ადმინისტრაციული და სასამართლო საშუალება. გამოდის, რომ თუ სახელმწიფო ასეთ დათქმას გააკეთებს, დავა მხოლოდ მას შემდეგ განიხილება ცენტრის მიერ, რაც მოივლის ყველა სასამართლოს უზენაესი სასამართლოს ჩათვლით. გარდა ამისა ეს დათქმა აზრს უკარგავს არბიტრაჟის მნიშვნელობასაც, განხილულ იქნეს სამართლებრივი დავა უმოკლეს დროში. თუ ინვესტორი მიმართავს სასამართლოს და თან ამოწურავს ყველა ინსტანციას იგი დაკარგავს უამრავ დროს, თანხას და მისი საქმის კონფიდენციალურობასაც.²⁴

გარდა ამისა, არბიტრაჟის რეგულირების საკითხში მიღებულია რეგიონალური ხასიათის ხელშეკრულებები, როგორცაა 1975 წელს პანამაში ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ მიღებული პანამერიკული კონვენცია „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“, ასევე არაბეთის ლიგის ქვეყნებისათვის მოქმედებს 1952 წლის კონვენცია „უცხო ქვეყნის სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“, აგრეთვე 1987 წლის არაბეთის ამანების კონვენცია „კომერციული არბიტრაჟების შესახებ“ და ასე შემდეგ.²⁵

²³ გ. ცერცვაძე, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბ., 2013, გვ. 32-33.

²⁴ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2008, გვ. 53.

²⁵ იქვე, გვ. 53.

1.3 ქართული კანონმდებლობის მიმოხილვა

ქართული სამართლისთვის არბიტრაჟი არც თუ ისე ძველი ინსტიტუტია. ამ ინსტიტუტის საფუძვლიანი ფორმირება მეოცე საუკუნის ბოლოდან იწყება. ქართული არბიტრაჟის ისტორიაში დღემდე იყო სამი გარდამტეხი ეტაპი, პირველი - 1997 წელს, როცა საქართველოს პარლამენტმა მიიღო პირველი კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, ეს იყო კერძო არბიტრაჟთან დაკავშირებული პირველი კანონი, რომელიც განსხვავდებოდა და სრულიად დამოუკიდებელი იყო საბჭოთა კანონმდებლობისგან. ვინაიდან ეს იყო პირველი მცდელობა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ დამოუკიდებელი კანონი მიღების ჰქონდა შემდეგი ხარვეზები: 1997 წლის კანონის თანახმად მუდმივ მოქმედი არბიტრაჟის ჩამოყალიბება საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით ხდებოდა.²⁶ რაც დღემდე ქმნის მთელ რიგ პრობლემებს საარბიტრაჟო სისტემაში

ამავე კანონის 42 მუხლის თანახმად არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე ხდებოდა და მასზე სასამართლო ვერანაირ კონტროლს ვერ ახდენდა.²⁷ ამიტომაც ხშირად ხდებოდა არბიტრაჟის ბოროტად გამოყენება და ეს გახდა უკანონო მართლმსაჯულების განხორციელების მარტივი მექანიზმი. ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა არბიტრაჟის გზით საკუთრების უკანონოდ მიკუთვნება, გაშვილება და სხვა უამრავი მართლსაწინააღმდეგო ქმედება გაუმართლებიათ.²⁸ 1997 წლის კანონის მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო ის, რომ ზოგ შემთხვევაში სასამართლოს უფლება ჰქონდა შეეცვალა არბიტრაჟის გადაწყვეტილება მხარის მოთხოვნის საფუძველზე.²⁹

საქართველოს სჭირდებოდა ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ, რომელშიც მოხდებოდა როგორც მოდელური კანონის ძირითადი დებულებების იმპლემენტირება ნორმათა ჰარმონიზაციისა და ერთიანი მეთოდოლოგიის საფუძველზე, ისე თანამედროვე საარბიტრაჟო პრაქტიკისა და კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის ხარვეზების მხედველობაში მიღება.³⁰ მეორე გარდამტეხი ეტაპი იყო 2009-2015 წლები, მას შემდეგ რაც საქართველოს ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ქვეყანაში ინვესტორების შემოყვანა და მათთვის ხელსაყრელი

²⁶ საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/> მუხლი 7.1.

²⁷ იქვე, მუხლი 42.

²⁸ მ. დ. ბეხმანი, ADR-ის შეფასება საქართველოში, გვ. 10.

²⁹ საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/> მუხლი 43.

³⁰ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018, გვ. 10

გარემოს შექმნა საჭირო გახდა კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონის გადასინჯვა და ახალი კანონის მიღება.³¹

ახალი კანონის საფუძვლად აიღეს გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ შემუშავებული მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ (შემდგომში „მოდელური“), რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება კარგად იცნობს და საარბიტრაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტადაა მიჩნეული.³² ამის შედეგად 2009 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“.³³

2009 წლის კანონი აწესრიგებს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, მისი ფუნქციონირების წესებს, ასევე საზღვარგარეთ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების წესებს. ახალი კანონით ქართულ საარბიტრაჟო სამართალში მოხდა რამდენიმე ძირითადი გარდატეხა:

1. სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას დაექვემდებარა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულება;
2. ამ კანონით დეტალურად განისაზღვრა საფუძვლები, რომელთა გამოც შეიძლება მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმება, ან მათ ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა;
3. მოქნილი მოთხოვნები დამკვიდრდა საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის მიმართ;
4. კანონით დადგენილი ფარგლებით შეიზღუდა სასამართლოს ჩარევა არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებში ;
5. კანონმა ბევრი დისპოზიციური ნორმა გაითვალისწინა იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მხარეებს შორის კონკრეტულ საკითხებზე (მაგალითად, არბიტრების რაოდენობა, დანიშვნის წესი, არბიტრაჟის ადგილი, ა.შ.) შეთანხმება არ არსებობს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტია ე.წ. ad hoc არბიტრაჟის დამკვიდრების თვალსაზრისით. ³⁴

2015 წლიდან დღემდე სტაბილური პირობებია საარბიტრაჟო წარმოებისთვის. თუ შევადარებთ მეოცე საუკუნის მიწურულს არსებულ და დღევანდელ სიტუაციას ვნახავთ, რომ დღეს გვაქვს გამართული კანონი არბიტრაჟის შესახებ და სრულიად კომფორტული და ხელსაყრელი გარემო. არბიტრაჟს სახელმწიფოს მხრიდან კი ყველანაირი ხელშეწყობა აქვს

³¹ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018, გვ. 10

³² იქვე, გვ. 10.

³³ საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

³⁴ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში. საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018, გვ. 10.

იმისთვის, რომ იარსებოს, განვითარდეს და მეტად პოპულარული გახდეს, როგორც სასამართლოსგან სრულიად დამოუკიდებელი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა.³⁵

³⁵ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში. საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018, გვ. 11.

თავი II. საარბიტრაჟო სამართალწარმოების აღწერა

2.1. არბიტრაჟის შექმნის ისტორია

არბიტრაჟის შექმნის შესახებ ისტორიულ ლიტერატურაში მწირი ცნობები გვხვდება, მაგრამ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ არბიტრაჟის შექმნა წინ უსწრებს სასამართლოების შექმნას.³⁶

პლუტარქეს ნაშრომში „რჩეული ბიოგრაფიები“ გვხვდება ათენელი პოლიტიკური მოღვაწის თემისტოკლეს ბიოგრაფია სადაც არბიტრაჟთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ცნობაა დაცული; ათენელებისგან დევნილი თემისტოკლე გაიქცა კუნძულ კერკირაზე, რადგან წარსულში მან ამ კუნძულის მცხოვრებლებს დიდი სამსახური გაუწია - გაჰყვა არბიტრად კორინთელთა წინააღმდეგ დავაში და მათ 20 ტალანტის გადახდა დააკისრა.³⁷

დავის გადაწყვეტის მსგავსი საშუალებები ანტიკურ ხანაშიც სარგებლობდა პოპულარობით. ზოგიერთ წყაროზე დაყრდნობით სახელმწიფოს წარმოშობასაც კი წინ უსწრებდა პირთა შორის წარმოშობილი დავების მოსაგვარებლად ტექნიკურად მსგავსი ფორმის გამოყენება.

როგორც ზემოთა აღნიშნული კომერციული არბიტრაჟი გამოიყენებოდა შუა საუკუნეების სავაჭრო ობიექტებს შორის დაპირისპირებების გადაწყვეტაში ინგლისსა და ევროპის კონტინენტზე და ხმელთაშუა და ბალტიის ზღვის ვაჭრობებს შორის.

საერთაშორისო არბიტრაჟის თანამედროვე განვითარების საწყისად შეიძლება ჩაითვალოს მშვიდობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული ხელშეკრულება (The Jay Treaty), რომელიც 1794 წლის 19 ნოემბერს გაფორმდა.

დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული ხელშეკრულება მშვიდობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ (The Jay Treaty) შექმნა სამი საარბიტრაჟო კომისია: ამერიკული რევოლუციის შედეგად წარმოშობილი კითხვებისა და პრეტენზიების მოგვარების მიზნით.

მე -19 საუკუნეში დაიდო მრავალი საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლითაც შეიქმნა დროებითი საარბიტრაჟო ტრიბუნალები კონკრეტული საქმეების მოსაგვარებლად ან დიდი რაოდენობით სარჩელის შესასრულებლად. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ალაბამას საარბიტრაჟო განხილვა ვაშინგტონის ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, შეერთებული შტატები და დიდი

³⁶ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2008, გვ. 18.

³⁷ პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ტომი II, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1987, გვ. 35.

ბრიტანეთი შეთანხმდნენ, რომ გადაეწყვიტათ დიდი ბრიტანეთის მიერ ამერიკის სამოქალაქო ომის დროს ნეიტრალიტეტის შენარჩუნებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრეტენზიები.

კომერციული არბიტრაჟის როლის გაზრდა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც სასამართლოებს უფლება მიეცათ შეესრულებინათ მხარეების საარბიტრაჟო შეთანხმება.

პირველი ასეთი წესდება იყო 1889 წლის ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, რომელიც მოგვიანებით გაერთიანდა 1950 წლის აქტად და მიღებული იქნა ბრიტანეთის თანამეგობრობის უმეტეს ქვეყნებში საარბიტრაჟო წესდებით. ამას მოჰყვა შეერთებულ შტატებში ნიუ – იორკის შტატის საარბიტრაჟო წესდება 1920 წელს და ფედერალური საარბიტრაჟო აქტი 1925 წელს. კომერცია აშშ-ს შტატების უმეტესობამ მცირედი ცვლილებებით მიიღო 1955 წლის ერთიანი საარბიტრაჟო აქტი.

ზემოთ აღნიშნული აქტის შესწორებული სახით კი მიიღეს 1956 წელს, რომელიც დააწინაურეს კომისრების მიერ ერთიანი სახელმწიფო კანონების შესახებ და რეკომენდაცია გაუწია ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ. ეს აქტი ითვალისწინებს შეთანხმების სასამართლო განხილვას, რომ მოხდეს არსებული და სამომავლო დავების საარბიტრაჟო განხილვა და ამით საარბიტრაჟო შეთანხმება აღარ დაიბრუნოს, როგორც ეს იყო საერთო კანონით.

1907 წელს ევროსაბჭოს მიერ ჰააგაში მიღებული კონვენცია „საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ“³⁸ მკაფიოდ განმარტავს, რომ ერთა შორის დავების მოგვარების მეგობრულად გადაწყვეტის ყველაზე მარტივი და სწრაფი მეთოდი არის არბიტრაჟის მეშვეობით მათი მოგვარება.

³⁸ 1907 წლის კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

2.2. არბიტრაჟის ფუნქციონირების თავისებურებანი

არბიტრაჟი არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როდესაც მხარეები თანხმდებიან მათი დავა გადაწყვიტოს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა. არბიტრაჟში მხარეები დავას წარუდგენენ ნეიტრალურ მესამე მხარეს. ამის შემდეგ მესამე მხარე განიხილავს მტკიცებულებებს, რომლებსაც წარადგენენ დავის მხარეები და გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომელსაც უწოდებენ „საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას“,³⁹ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის საბოლოო და სავალდებულო აღსასრულებლად.

მხარეთა სურვილის მიუხედავად არ შეიძლება ნებისმიერი დავა გადაეცეს არბიტრაჟს, ვინაიდან მას არ აქვს უფლებამოსილება ნებისმიერი დავის განხილვის. როგორც საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ განმარტავს „არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის“;⁴⁰ ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე არბიტრაჟს მიმართავენ იმისთვის, რომ მხარეებმა გადაწყვიტონ კერძო ხასიათის ქონებრივი დავა. ასეთი დავა შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე.⁴¹

არბიტრაჟს ძირითადად მიმართავენ ისინი ვისაც სურს სასამართლოს გვერდის ავლით, მაქსიმალურად მოკლე დროში და კონფიდენციალურობის დაცვით მოხდეს სპეციფიური ხასიათის საქმეების განხილვა და გადაწყვეტა.

არბიტრაჟს, როგორც დავის გადაწყვეტის ინსტრუმენტს გააჩნია ბევრი უპირატესობა და ამასთან ერთად ნაკლოვანებებიც. არბიტრაჟის მთავარი უპირატესობები სასამართლოსთან შედარებით არის: ხარჯი, სისწრაფე, საბოლოო ხასიათი, ადგილობრივი აღსრულება, საერთაშორისო აღსრულება, ურთიერთობების შენარჩუნება, კონფიდენციალურობა, მოქნილი გადაწყვეტილებები, არბიტრის გამოცდილება, არბიტრის მიუკერძოებლობა, მოქნილი პროცედურები. ხოლო არბიტრაჟის ნაკლოვანებებია: დაბალი შესაბამისობა, საჯარო მოსმენის არარსებობა, გაურკვეველი შედეგები, ნდობა.⁴²

³⁹ ს. მ. ოსტერმილერი, დ. რ. სვენსორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ.205.

⁴⁰ საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

⁴¹ გ. თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გამომც. ”ბექდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017

⁴² ს. მ. ოსტერმილერი, დ. რ. სვენსორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014, გვ. 205.

სულ არსებობს არბიტრაჟის ორი ტიპი. დროებითი ანუ არბიტრაჟი, რომელიც ერთი კონკრეტული დავის გადასაწყვეტადაა შექმნილი, რომელიც ამ დავის დასრულების შემდეგ უქმდება. ასეთ არბიტრაჟს შემოკლებით Ad hoc არბიტრაჟს უწოდებენ (ad hoc -ლათ. ამ შემთხვევისათვის).⁴³

ასევე არსებობს მუდმივმოქმედი ანუ ინსტიტუციონალური არბიტრაჟი, რომლებიც იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

არბიტრაჟების დაყოფა გარდა მუდმივმოქმედი და დროებითისა ხდება დავების დარგობრივობით.

შეგვიძლია განვასხვავოთ არბიტრაჟები, რომლებიც იხილავენ ყველა სახის დავას და სპეციალიზებული არბიტრაჟები, რომლებიც სამართლის კონკრეტულ დარგში წარმოშობილ დავას განიხილავენ და ასევე არბიტრაჟები, რომლებიც განიხილავენ მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის დავებს.⁴⁴

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მუდმივმოქმედ არბიტრაჟს უნდა ჰქონდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

ისტორიულად არბიტრაჟის ინსტიტუტი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე გაჩნდა და სახელმწიფო წარმოშობასთან ერთად არბიტრაჟის მნიშვნელობაც იკარგებოდა. გასული საუკუნიდან მცდელობებია ხელახლა იქნას დამკვიდრებული დავის განხილვის ეს მეთოდი. შესაბამისად მისი განვითარებისათვის საჭიროა რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა მოხდეს საარბიტრაჟო პროცესში სახელმწიფო სასამართლოს მხრიდან.

არბიტრაჟის ძირითადი ნიშნების დადებითი მხარეები გამოიხატება მისი სასამართლო ხელისუფლებისაგან დამუკიდებლობისა და განსხვავებულობაში, ხოლო თუ არბიტრაჟის ამ თვისებებს მოვაქცევთ სახელმწიფო სასამართლოს გავლენის ქვეშ, აშკარაა, რომ ინსტიტუტი კარგავს მის აზრს.

⁴³ ს. მ. ოსტერმილერი, დ. რ. სვენსორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ.206.

⁴⁴ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2008, გვ. 32.

2.3. საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები

სასამართლოსთან შედარებით არბიტრაჟის ერთ-ერთი უპირატესობა გამოიხატება მის ძირითად თვისებაში, ის წარმოადგენს დავის გადაწყვეტის გზას, რომელიც მხარეთა შეთანხმების საფუძველზე აირჩევა. საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობის თაობაზე ვინმეს იძულება დაუშვებელია, რადგან ამით ირღვევა არბიტრაჟის ძირითადი პრინციპი.⁴⁵

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მკაცრ ფორმას საარბიტრაჟო შეთანხმებისთვის და ლოგიკურია, რომ მხოლოდ შეთანხმების ხელმომწერ მხარეებს შორის შეიძლება წარიმართოს დავა, თუმცა არის ისეთი გარემოებები, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივ შედეგებს ავრცელებს მესამე პირებზე და მათ რთავს წარმოებაში მოპასუხის თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმდგენი პირის მხარეზე.⁴⁶

საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ, ფორმალურ და მატერიალურ წინაპირობებად.⁴⁷ პირველ ფორმალურ წინაპირობად შეგვიძლია მივიჩნიოთ საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის არსებობის გარეშე შეუძლებელია საარბიტრაჟო წარმოების დაწყება. საარბიტრაჟო პროცესის წამოწყებისთვის აუცილებელია საარბიტრაჟო ხელშეკრულების არსებობა. ხელშეკრულების არსებობა უზრუნველყოფს, რომ საქმე განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს და არა სასამართლოს.⁴⁸

საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება ითქვას, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის დოკუმენტია საარბიტრაჟო წარმოების პროცესში, როგორც განხილვის დასაწყებად ასევე საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად და მის აღსასრულებლად.⁴⁹ საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობა არის საფუძველი იმისა, რომ არბიტრაჟმა არ მიიღოს საქმე განსახილველად. საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმება მხარეებს შორის შესაძლებელია, როგორც დავის წარმოშობამდე, ასევე დავის წარმოშობის შემდეგ. შეთანხმებაში მკაფიოდ უნდა იქნეს განსაზღვრული ყველა დეტალი, რაც საარბიტრაჟო წარმოებას შეეხება. ვინაიდან საქმის წარმოების პროცესში არ წარმოიქმნას გაუგებრობები.⁵⁰

⁴⁵ გ. კაჭაშვილი, საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი შედეგების გავრცელება მესამე პირებზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, ჟურნალის მეორე გამოცემა, თბ., 2013, გვ.84

⁴⁶ იქვე, გვ.84

⁴⁷ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2008, გვ. 105.

⁴⁸ იქვე, გვ. 105.

⁴⁹ გ. თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გამომც. ”ბექდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017, გვ. 30.

⁵⁰ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ.72.

თავის მხრივ საარბიტრაჟო შეთანხმება მოიაზრებს ან საარბიტრაჟო ხელშეკრულებას ან საარბიტრაჟო დათქმას. საარბიტრაჟო ხელშეკრულებასა და დათქმას შორის განსხვავება არის ის, რომ საარბიტრაჟო ხელშეკრულება იდება უშუალოდ დავის წარმოშობის შემდეგ, როცა მხარეები თანხმდებიან საქმე განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს, ხოლო საარბიტრაჟო დათქმის აღნიშვნა ხდება ძირითად ხელშეკრულებაში.⁵¹

ძირითად ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა ჩაიწეროს ყველა ის შესაძლო შემთხვევა, რომლის დროსაც საქმის გადაცემა მოხდება არბიტრაჟისთვის და არა სასამართლოსთვის. ხელშეკრულების ეს მუხლი მხარეებს აძლევს გარანტიას, რომ მათ შორის წარმოქმნილი დავა არ გადაეცემა სასამართლოს. მეორე ფორმალურ წინაპირობად იგულისხმება იმის გარკვევა არის თუ არა საარბიტრაჟო დავის საგანი ის საკითხი, რომელზეც არბიტრაჟმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

თუ მხარეთა მიერ დადებულია შეთანხმება დავის კერძო არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ, სასამართლოს აღარა აქვს უფლება, განიხილოს სარჩელი იმ საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანს წარმოადგენდა, ანუ საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, დავა არ შეიძლება განსახილველად გადაეცეს ჩვეულებრივ სასამართლოს.

თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებულია ისეთ დავაზე, რომელიც შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით არ შეიძლება განიხილოს, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება და წარმოიქმნება მთელი რიგი პრობლემები.⁵²

სარბიტრაჟო განხილვის მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს დავის არსებობა. ლოგიკურად, თუ დავა არ არსებობს ან მხარეებმა შეწყვიტეს დავა, შესაბამისად საარბიტრაჟო წარმოება ყოველგვარ აზრს კარგავს. როგორც დასავლეთ ევროპის სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს არბიტრაჟისთვის აუცილებელია დავის არსებობა, დავის საგნის არსებობის გარეშე გამართული „საარბიტრაჟო განხილვა“ ვერ იქნება ნამდვილი საარბიტრაჟო განხილვა.⁵³

⁵¹ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), „ბონა კაუზა“, თბ., 2008, გვ. 100-105.

⁵² ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 72

⁵³ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2008, გვ.105.

2.4. წინასაარბიტრაჟო მზადება და არბიტრების არჩევა

საარბიტრაჟო მზადების პროცესი მთლიანად დამოკიდებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსზე. საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხარეებმა აუცილებლად უნდა განსაზღვრონ არბიტრაჟის ჩატარების ადგილი, არბიტრაჟის დანიშვნის წესი, გამოსაყენებელი სამართალი და ენა, თუ რომელ სახელმწიფო ენაზე მოხდება საარბიტრაჟო საქმის განხილვა.⁵⁴ ასევე აუცილებლად უნდა მოხდეს საარბიტრაჟო შეთანხმებაში საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მითითება, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული თუ რომელი ქვეყნის სამართლის მიხედვით მოხდება საქმის განხილვა. საერთაშორისო დავების შემთხვევაში მხარეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რომელი ქვეყნის სამართლის მიხედვით მოხდება მათი საქმის განხილვა, რადგან შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით არ შეექმნათ მთელი რიგი პრობლემები.⁵⁵

თუ მხარეთა შეთანხმებით არ არის საარბიტრაჟო განხილვის ადგილი მითითებული მაშინ ადგილს განსაზღვრავს არბიტრაჟი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით თუ რამდენად მოსახერხებელია მხარეებისთვის ეს ადგილი.⁵⁶ ადგილმდებარეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო დავების შემთხვევაში, ვინაიდან არბიტრაჟის ერთ-ერთ უპირატესობად მიიჩნევა ის, რომ იგი სასამართლოსგან განსხვავებით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს.

ვინაიდან არბიტრაჟის მიმდინარეობის პროცესში ხდება მოწმეების, ექსპერტების, მხარეების მოსმენა, მტკიცებულებების შემოწმება, ეს ყოველივე ხარჯებთანაა დაკავშირებული და თუ მხარეებს უწევთ სხვა ქვეყანაში გადაადგილება შესაბამისად ხარჯებიც იზრდება.

არბიტრაჟის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე მხარეებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა არბიტრების დანიშვნის პროცესში.⁵⁷ მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. მხარეებს ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ ეს უფლება გადასცენ მესამე პირს ან სასამართლოს.

არბიტრების ნომინირება (დასახელება) უნდა განვასხვავოთ ტრიბუნალის (კოლეგიის) შემდგარად გამოცხადებისაგან. შემადგენლობის სრულად ფორმირების შემდეგ საარბიტრაჟო

⁵⁴ ს. მ. ოსტერმილერი, დ. რ. სვენსორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014, გვ. 248-249.

⁵⁵ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 82-85.

⁵⁶ გ. თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, თბ., გამომც. „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, 2017, გვ.99.

⁵⁷ გ. თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გამომც. „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017, გვ. 45.

პროცესს უძღვებიან არბიტრები და არა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, რომელიც არბიტრთა შემადგენლობის ფორმირებამდე როგორც წესი, თვითონ წყვეტს საორგანიზაციო საკითხებს.⁵⁸

გარდა ზემო აღნიშნულისა მხარეები ხელშეკრულებაშივე უთითებენ თუ რომელმა არბიტრაჟმა უნდა განიხილოს მათი დავა, ვინ იქნებიან არბიტრები მაგრამ თუ არ არსებობს მსგავსი დათქმა მაშინ დავის წარმოშობის შემდეგ ხდება არბიტრების არჩევა. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არბიტრების არჩევას. ისინი უნდა აირჩნენ მათი გამოცდილების, კვალიფიკაციისა და კომპედენტურობის მიხედვით, რადგან განხვავებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება არ ხდება. არბიტრების რაოდენობა უნდა იყოს კენტი. საერთაშორისო არბიტრაჟში არბიტრების რაოდენობა უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე.⁵⁹

ერთი არბიტრის არჩევის შემთხვევაში საარბიტრაჟო წარმოების ხარჯი ნაკლებია და პროცესიც ნაკლებად ხანგრძლივი, ვინაიდან არბიტრს არ უწევს კონსულტაციების გავლა სხვა არბიტრებთან. ძირითადად არბიტრების რაოდენობის განსაზღვრა საქმის სირთულიდან გამომდინარე ხდება.

არბიტრი არ არის აუცილებელი პროფესიით იურისტი იყოს, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში საქმის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება არბიტრის არჩევა. ასევე არბიტრის არჩევისას საყურადღებოა ის ფაქტი თუ რამდენად სრულყოფილად იცის მან საარბიტრაჟო წარმოების ენა, რადგან საქმის მსვლელობის დროს შესაძლოა მისთვის ბუნდოვანი იქნეს მთელი რიგი საკითხები, რომელიც შემდგომში დავის მართებულად გადაწყვეტაში დაეხმარება.

როგორც საერთაშორისო არბიტრაჟის შემთხვევაში ასევე ქართულ საარბიტრაჟო კანონმდებლობით არბიტრების რაოდენობა უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე. არბიტრების რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს მხარეები განსაზღვრავენ, ისინი ირჩევენ თანაბარი რაოდენობის არბიტრებს. იმ შემთხვევაში თუ არბიტრების რაოდენობა არის ლუწი უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან დანიშნიდან 10 დღის ვადაში აირჩიონ კიდევ ერთი არბიტრი.⁶⁰

ძალიან საინტერესოდ არის გადაწყვეტილი არბიტრების არჩევა ნიდერლანდების საარბიტრაჟო ინსტიტუტის რეგლამენტში. ამ ინსტიტუტის ადმინისტრატორი მხარეებს უგზავნის არბიტრთა სიას. თუ დავა განიხილება ერთი არბიტრის მიერ, სიაში უნდა იყოს არანაკლებ სამი კანდიდატი, ხოლო თუ დავა განიხილება კოლეგიის მიერ, სიაში უნდა იყოს

⁵⁸ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), „ბონა კაუზა“, თბ., 2008, გვ. 220.

⁵⁹ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 84.

⁶⁰ საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/> მუხლი 10.

არანაკლებ ცხრა კანდიდატი. მხარეებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა აირჩიონ არბიტრები. ან უნდა მიუთითონ რიგის მიხედვით რომელს მიანიჭებენ უპირატესობას. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ მონაცემებზე დაყრდნობით იღებს საარბიტრაჟო ინსტიტუტი.⁶¹

არბიტრების არჩევის შემდეგ მათ აუცილებლად წერილობით უნდა განაცხადონ თანხმობა, რადგან პირის თანხმობის გარეშე შეუძლებელია მისი არბიტრად დანიშვნა.⁶²

მას შემდეგ რაც მოხდება სამი არბიტრის არჩევა უნდა აირჩეს არბიტრაჟის თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე არ დანიშნავს არბიტრს ან ორი არბიტრი ვერ დანიშნავს მესამე არბიტრს 30 დღის განმავლობაში მაშინ სასამართლო ნიშნავს მას.

არბიტრებმა არჩევის შემდეგ უნდა წარმოადგინონ მათი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წერილობითი სახით მხარეების მოთხოვნის შემთხვევაში. პირს არბიტრად დანიშვნა ეკრძალება, როდესაც იგი არის:

- ა) შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით სხვა რამ არის განსაზღვრული;
- ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან მოხელე;
- გ) მსხავდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არ აქვს ნასამართლეობა.⁶³

მას შემდეგ რაც მოხდება საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტება არბიტრები გადადიან საქმის შესწავლაზე, განხილვაზე და ყველა სხვა პროცედურებისთვის მზადებაზე, რაც საჭიროა საარბიტრაჟო განხილვისთვის

⁶¹ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), გამომც., „ბონა კაუზა“, თბ., 2008, გვ.221.

⁶² გ. თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გამომც. ”ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017, გვ. 48.

⁶³ საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/> მუხლი 7.

2.5. არბიტრების აცილება

არბიტრაჟი არის სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი. არბიტრების არჩევა მთლიანად მხარეებზეა დამოკიდებული, ასევე მხარეებზეა დამოკიდებული არბიტრის აცილების პროცედურა თუ როგორ შეთანხმდებიან ურთიერთობის დასაწყისშივე.

ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება არბიტრთა დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის საკითხები.⁶⁴ კანონიდან გამომდინარე მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ მას აქვს საფუძვლიანი ეჭვი არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, კანონი ავალდებულებს როგორც პირს, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ასევე უკვე დანიშნულ არბიტრს, დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს ნებისმიერ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ოდნავადაც კი საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.⁶⁵ აღნიშნული ვალდებულება საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“-ის მიხედვით მთელი საარბიტრაჟო განხილვის განმავლობაში.⁶⁶

როგორც ზემოთ ავღნიშნე არბიტრების არჩევისას ძალიან მნიშვნელოვანია მათი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა და ეს ფაქტია მათი აცილების ძირითადი მიზეზი. სწორედ ამ საკითხზე იმსჯელა მადრიდის უმაღლესმა სასამართლომ. „ამ საქმეში არბიტრს ჰქონდა, ახლო ურთიერთობა ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელ იურიდიულ კომპანიასთან. სასამართლომ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და მიუთითა, რომ არბიტრის ურთიერთობა მხარის წარმომადგენელთან სცილდებოდა დროებით, შემთხვევით ურთიერთობას. ამ დასკვნამდე სასამართლო მივიდა სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის: არბიტრის ნათესავის და მეგობრების დასაქმების ფაქტი იურიდიულ კომპანიაში, სადაც მხარის წარმომადგენელი მუშაობდა, არბიტრის საპატიო პოზიცია ამ იურიდიული კომპანიის მრჩეველთა საბჭოში; ასევე ის ფაქტი, რომ არბიტრმა პუბლიკაცია მიუძღვნა პირს, რომლის სახელიც ერქვა ამ იურიდიულ კომპანიას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზე, რომ არბიტრს არ გაუმჟღავნებია ზოგიერთი

⁶⁴ საერთაშორისო კომერციული პალატის (ICCA) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 11; სტოკჰოლმის კომერციული პალატის (SCC) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 18.

⁶⁵ გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბ., 2017, გვ. 143.

⁶⁶ საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/> მუხლი 12.

ზემოაღნიშნული ფაქტი. ერთობლიობაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს გარემოებები ადასტურებდნენ კეთილგანწყობას არბიტრსა და იურიდიულ კომპანიას შორის.“⁶⁷

მოდელური კანონის მე-13 მუხლის მიხედვით აცილების უფლება ანიჭებს არბიტრთა შემადგენლობას, რომელშიც ის არბიტრიც მონაწილეობს, რომელსაც აცილება განუცხადეს. თუ არბიტრებმა აცილების მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, მაშინ მხარეს შეუძლია ამ გადაწყვეტილებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ შემდეგი სახით განმარტავს არბიტრის აცილების პროცედურას:

ა. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე.

ბ. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას მხარე, რომელსაც განზრახული აქვს, აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია არბიტრის აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს იმ დღიდან 15 დღის ვადაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. არბიტრის აცილების შესახებ განცხადებაში უნდა მიეთითოს არბიტრის აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ გამოაცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ დაეთანხმება მის აცილებას არბიტრის აცილების შესახებ განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, არბიტრის აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის გასვლიდან 30 დღეში.⁶⁸

გ. თუ არბიტრის აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც არბიტრის აცილებას აცხადებს, შეუძლია არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.⁶⁹

კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არბიტრის აცილების საფუძველები შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული. ამ ფაქტის ხაზგასასმელად პრაქტიკიდან გამოვიყენებ მაგალითს რომელიც გიორგი ცერცვაძეს აქვს მოცემული მის სადისერტაციო ნაშრომში: „ დავა უნდა განეხილა UNCITRAL 1976 რეგლამენტის მიხედვით ფორმირებულ საარბიტრაჟო შემადგენლობას, საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იყო ჰააგა. დავის მხარეები იყვნენ მალაიზიის ტელეკომი და განის რესპუბლიკა. მალაიზიის ტელეკომმა არბიტად დანიშნა პროფ. ემანუელ გაილარდი. განამ აცილება მისცა მას, რადგან პროფესორი

⁶⁷ გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბ., 2017, გვ.144.

⁶⁸ საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/> მუხლი 12.

⁶⁹ იქვე, მუხლი 12.

გაილარდი მონაწილეობდა როგორც ადვოკატი ICSID არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების პროცესში, რომლის მხარეებიც იყვნენ ინვესტორი და მაროკო. განამ მიუთითა, რომ ამ შემთხვევაში პროფესორი ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი არბიტრი, იმიტომ, რომ ამ ორი საქმის გარემოებები თითქმის იდენტური იყო და პროფესორი ინვესტორმა დაიქირავა სწორედ გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით. შესაბამისად, პარალელურად მიმდინარე პროცესებში პროფესორი ვერ იქნებოდა ობიექტური. ჰააგის სასამართლომ გამოიყენა ე.წ. third party test, რომლის თანახმადაც ირკვევა მესამე ნეიტრალური მხარის თვალში არბიტრი ჩაითვლება მიუკერძოებლად, თუ არა. სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა არბიტრის მიუკერძოებლობის მიმართ საფუძვლიანი ეჭვი და მოსთხოვა პროფესორს უარი ეთქვა 10 დღის ვადაში ICSID არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესში მონაწილეობაზე.⁷⁰

პროფესორი დაემორჩილა სასამართლოს გადაწყვეტილებას და უარი თქვა მაროკოს წინააღმდეგ პროცესში მხარის წარმომადგენლად გამოსვლაზე. განამ ისევ წამოაყენა მისი აცხილების მოთხოვნა, ვინაიდან მაროკოს საქმეზე მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვის დროს პროფესორს უკვე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. რამდენიმე სასამართლომ უარყო ეს აცხილება იმ საფუძვლით, რომ ეს განხილვები და მიღებული გადაწყვეტილებები არ შეეხებოდა არსებითად დავის საგანს.⁷¹

⁷⁰ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი, (შედარებითი ანალიზი), გამომც., „ბონა კაუზა“, თბ., 2008, გვ. 345.

⁷¹ იქვე

თავი III. საარბიტრაჟო განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა, გაუქმება, აღსრულება

3.1. საარბიტრაჟო განხილვა

არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის დაწყების საფუძველია მხარის მიერ წარმოდგენილი საარბიტრაჟო პრეტენზია, სადაც უნდა იყოს მითითებული პრეტენზიის ავტორის მოთხოვნა და არგუმენტაცია.⁷²

უნსიტრალის მოდელური კანონიდან გამომდინარე საარბიტრაჟო განხილვა იწყება მას შემდეგ რაც საარბიტრაჟო მოპასუხე მიიღებს შეტყობინებას არბიტრაჟისთვის დავის გადაცემის შესახებ.

ვინაიდან არბიტრაჟის ერთ-ერთ უპირატეობად მიიჩნევა - კონფიდენციალურობა აქიდან გამომდინარე საარბიტრაჟო სხდომები დახურულია, მასში მონაწილე მხარეებს კი აქვთ ვალდებულება, რომ დაიცვან კონფიდენციალურობის პრინციპი. საარბიტრაჟო განხილვის ორი ფორმა არსებობს: ზეპირი და წერილობითი. თუ რომელი ფორმით ჩატარდება განხილვა მთლიანად მხარეების შეთანხმებაზეა დამოკიდებული.⁷³

ზეპირი საარბიტრაჟო განხილვა ერთის მხრივ ძალიან გავს სასამართლო პროცესს, რადგან მხარეებს აქვთ უფლება გამოვიდნენ შესავალი სიტყვით განსაზღვრონ ფაქტები, წარმოადგინონ მტკიცებულებები, გამოიძახონ მოწმეები. საარბიტრაჟო განხილვის პროცესი ბევრად უფრო მოსახერხებელი, მარტივია და ნაკლებად ოფიციალურია სასამართლო პროცესთან შედარებით.⁷⁴

მხარეები შეთანხმდების შემთხვევაში მათ ზეპირი მოსმენის გარეშე შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ჩატარება, რაც კიდევ უფრო ამარტივებს მას. შეუძლიათ წერილობით წარადგინონ დასაბუთებები და დოკუმენტური მტკიცებულებები. მაგრამ თუ ერთ მხარეს სურს ზეპირი მოსმენის ჩატარება ის აუცილებლად უნდა შედგეს.⁷⁵

არბიტრებს აქვთ უფლება საარბიტრაჟო განხილვაზე მოიწვიონ ექსპერტები მოწმეების სახით. მხარეებს ასევე აქვთ ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნების გადამოწმების უფლება.⁷⁶

⁷² ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 97.

⁷³ იქვე, გვ. 97.

⁷⁴ იქვე, გვ. 97.

⁷⁵ ს. მ. ოსტერმილერი, დ. რ. სვენსორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014, გვ. 254.

⁷⁶ გ. თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გამომც. ”ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017, გვ.116.

მოსარჩელემ საარბიტრაჟო სარჩელი აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა წარადგინოს. სარჩელში უნდა მიეთითოს მხარეთა სახელები, ინფორმაცია მათი საცხოვრებელი სადგილის შესახებ, მოთხოვნები რაც მოსარჩელეს გააჩნია, არსებული გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ მოთხოვნის სამართლიანობას.⁷⁷

მოპასუხემ უნდა წარადგინოს შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელზე. მის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა ხელს არ უშლის საარბიტრაჟო წარმოების დაწყებას, ეს მას ჩაეთვლება როგორც უარი შეპასუხების უფლებაზე. მხარეს შეუძლია შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები ან შესაგებელი, ასევე შეუძლია წარმოადგინოს დამატებითი მოთხოვნები მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არბიტრაჟი არ მიიჩნევს ამას პროცესის გაჭიანურებად.⁷⁸ არბიტრაჟს უფლება აქვს გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც საარბიტრაჟო განხილვის დაწყების ასევე მიმდინარეობის პროცესში, მანამ სანამ უშუალოდ საბოლოო გადაწყვეტილება მიღება.

არბიტრები ვალდებული არიან ყველა საბუთი, განცხადება თუ ნებისმიერი ინფორმაცია რასაც მათ წარუდგენს არბიტრაჟში მონაწილე ერთ-ერთი მხარე გადაუგზავნონ მეორე მხარეს.

იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი მხარე არასაკატიო მიზეზით არ გამოცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს უფლება აქვს განაგრძოს საქმის წარმოება და გამოიტანოს გადაწყვეტილება არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.⁷⁹

არბიტრაჟს აქვს უფლება სასამართლოსგან მიიღოს დახმარება მტკიცებულებების მოპოვებაში, რაც ნიშნავს, რომ არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებების მოპოვებაში განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. ასევე არბიტრაჟის უფლებამოსილებაში მოიაზრება ნებისმიერი მტკიცებულების გადამოწმების შესაძლებლობა, მისი ნამდვილობის შემოწმება.⁸⁰

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურის გავლის შემდეგ არბიტრები ხშირ შემთხვევაში ნიშნავენ მოსმენის შემდგომ საარბიტრაჟო პროცესს, რაც მოიცავს ლაკონური წერილობითი ინფორმაციის წარდგენას, რომელშიც შეჯამებულია მტკიცებულება და დასაბუთებები. სასამართლო გარჩევის შემდეგ თუ რაიმე ახალი მტკიცებულებების მოპოვებაშემდეგ ერთ-ერთმა

⁷⁷ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ.100.

⁷⁸ იქვე, გვ. 100.

⁷⁹ იქვე, გვ. 100.

⁸⁰ გ. თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გამომც. ”ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017, გვ. 121.

მხარემ მეორე მხარეს აუცილებლად ექნება შესაძლებლობა პასუხი გასცეს მოსმენის შემდგომი ანგარიშის საშუალებით.⁸¹

⁸¹ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 116.

3.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა და გაუქმება

საარბიტრაჟო მოსმენის დასრულების შემდეგ, როცა არბიტრები ძირფესვიანად შეისწავლიან მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ექპერტების დასკვნებს, მოუსმენენ მათ დგება ყველაზე მნიშვნელოვანი, გადაწყვეტილების მიღების ეტაპი. არბიტრაჟის შესახებ კანონის თანახმად არბიტრები გადაწყვეტილებას იღებენ წინასწარ, საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხარეთა მიერ არჩეული სამართლის მიხედვით. არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა საარბიტრაჟო ხელშეკრულებაში მხარეებს არ აქვთ მითითებული გამოსაყენებელი სამართალი, ასეთ დროს კი არბიტრაჟი თვითონ განსაზღვრავს რომელი ქვეყნის სამართლის მიხედვით იქნება გადაწყვეტილება მიღებული. საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ პირდაპირ განსაზღვრავს, რომ „არბიტრაჟი გადაწყვეტილების გამოტანისას ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობებს და იმ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რომლებიც ასეთი ტრანზაქციის მიმართ გამოიყენება“.⁸² ასევეა გერმანიის სამართალში, რომელიც ადგენს, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას, როგორც გერმანულ, ისე ქართულ სამართალში ორივეგან გადმოდებულია მოდელური კანონის 28-ე მუხლიდან.⁸³ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში არსებული ნებისმიერი მითითება, რომელიც კავშირშია კანონმდებლობასთან ან სამართლებრივ სისტემასთან გულისხმობს იმ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არამც და არამც პროცესუალურს.

გერმანული სამართლის სისტემის მსგავსად ქართულ სამართალშიც რამდენიმე არბიტრისგან შემდგარ არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმათა უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. როგორც თემის დასაწყისში ავლნიშნეთ არბიტრთა რაოდენობა აუცილებლად უნდა იყოს კენტი, რადგან არ მოხდეს ხმების გაყოფა. არცერთ არბიტრს არ აქვს ხმის მიცემისას თავის შეკავების უფლება და სწორედ ამიტომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღება გადაწყვეტილება. უნსიტრალის მოდელური კანონის მიხედვით და ასევეა ქართულ სამართალშიც გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის არბიტრაჟის თავმჯდომარეს. არბიტრაჟის შესახებ კანონის თანახმად თავმჯდომარეს აქვს უფლება გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები თავად გადაწყვიტოს.⁸⁴

⁸² საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/> მუხლი 36.1.

⁸³ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ.117.

⁸⁴ საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/> მუხლი 37.

არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა. იმისთვის, რომ შესრულდეს მისი გადაწყვეტილება და აღსრულებადი იყოს უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმას:

- ის აუცილებლად უნდა მომზადდეს წერილობით და ხელმოწერილ იქნეს არბიტრთა უმრავლესობის მიერ;
- ის უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება;
- მასში აღნიშნული უნდა იყოს საარბიტრაჟო წარმოების თარიღი და ადგილი;
- ხელმოწერილი უნდა გადაეცეს თითოეულ მხარე.⁸⁵

სარბიტრაჟო გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც გამოიტანა არბიტრაჟმა გადაწყვეტილება.

ნებისმიერი სამართლებრივი დავის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მორიგება, ასევე საარბიტრაჟო განხილვის შემთხვევაშიც. დავის გადაწყვეტის საუკეთესო გზად მიიჩნევა მხარეთა მორიგება. საქართველოს კანონი, როგორც გერმანული კანონი დავის შეწყვეტის საფუძველად ითვალისწინებს მხარეთა მორიგებას, ასევე ორივე ქვეყნის კანონმდებლობაში კონკრეტულად არის გაწერილი დავის შეწყვეტის სხვა გარემოებები.⁸⁶ საქართველოს კანონში არბიტრაჟის შესახებ დავის შეწყვეტის შესახებ მუხლი პირდაპირ არის გადმოღებული მოდელური კანონის 32-ე მუხლიდან.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადები მკაცრადაა კანონით გაწერილი. საქართველოს კანონით არბიტრაჟის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადად მიიჩნევა 180 დღე. მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში ვადა შესაძლოა გაგრძელოს არბიტრაჟმა, მაგრამ არაუმეტეს 180 დღისა.⁸⁷

სამოქალაქო დავებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ზოგიერთი ნაწილი, შესაძლებელია, გარკვეულწილად ბუნდოვანი, ან გაუგებარი აღმოჩნდეს მხარეებისათვის. საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებული სამოქალაქო საქმეების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟში საქმის განხილვის დროს, თავად საარბიტრაჟო წარმოების სპეციფიურობიდან გამომდინარე (რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ), საერთო სასამართლოებთან შედარებით მსგავსი შემთხვევების უფრო დაბალი პროცენტია მოსალოდნელი, ბუნებრივია, რომ მაინც არ იქნებოდა

⁸⁵ ს. მ. ოსტერმილერი, დ. რ. სვენსორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2014, გვ. 256.

⁸⁶ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 117.

⁸⁷ საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიკ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/> მუხლი 39.

გამართლებული კანონმდებელს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით არ გაეთვალისწინებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობა.⁸⁸

კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არსებობს შესაბამისი შეთანხმება, თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მიმართოს არბიტრაჟს და მოითხოვოს არბიტრაჟის გადაწყვეტილების რომელიმე პუნქტის შინაარსის დაზუსტების მიზნით ამ პუნქტის განმარტება. არბიტრაჟი განმარტებას იძლევა მოთხოვნის მიღებიდან 20 დღის ვადაში. ასეთი სახის განმარტებას ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც თავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.⁸⁹

არბიტრაჟის გადაწყვეტილება, როგორც წესი, შეეხება ქონებრივ ურთიერთობებს და, ბუნებრივია, რომ ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში აისახება გარკვეული მათემატიკური გაანგარიშებანი, სადაც თითქმის შეუძლებელია გამოირიცხოს შეცდომის დაშვება. ასევე, ვერ გამოვრიცხავთ გადაწყვეტილების ხელნაწერში, ან ნაბეჭდ ტექსტში მექანიკური შეცდომის არსებობის შესაძლებლობას. მხარეს შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს და მოითხოვოს მსგავსი შეცდომების გამოსწორება, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.⁹⁰

იმ შემთხვევაში თუ მხარეს სურს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება მან აუცილებლად უნდა მიმართოს სასამართლოს. მაგრამ სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე მსჯელობის დროს არ აქვს უფლება განიხილოს საარბიტრაჟო დავის საგანი.

სასამართლოს ასევე არ აქვს უფლება იმსჯელოს მატერიალური სამართლის ნორმებზე. არბიტრაჟის გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული მატერიალური სამართლის ნორმები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების პროცესში სასამართლოს უფლება აქვს იმსჯელოს მხოლოდ მის პროცესუალურ ასპექტებზე. სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს იმ საპროცესო გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო საერთოდ მხარეებს შორის არსებული დავის არბიტრაჟში განხილვას. აღსანიშნავია, რომ სასამართლო განიხილავს მხოლოდ საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხს. უცხოეთში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების უფლება არ აქვს ქართულ სასამართლოს.

⁸⁸ კერძო არბიტრაჟი საქართველოში, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა, გზამკვლევი, <http://www.nplg.gov.ge> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.02.2020

⁸⁹ იქვე

⁹⁰ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 116-120.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს იმ პირთათვის, ვისაც ამ გადაწყვეტილებით გაკვეული ვალდებულების შესრულება დაეკისრა. უმრავლეს შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მხარეები ასრულებენ ნებაყოფლობით. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულება ვერ ხერხდება, გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება იძულებით. იძულებითი აღსრულება ხორციელდება არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებლო წარწერის საფუძველზე.⁹¹

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების პროცესში, სასამართლოს უფლებამოსილება გამომდინარეობს ძირითადად ორი ფუნქციიდან: დაეხმაროს საარბიტრაჟო წარმოებას და ზედამხედველობა გაუწიოს მას.⁹² მიუხედავად შეზღუდული უფლებამოსილებისა სასამართლო მაინც ახერხებს არბიტრაჟში უხეზად ჩარევას.

სწორედ სასამართლოს ზედამხედველობის ფუნქციიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე. ამ მექანიზმის მიზანია, სასამართლომ შეამოწმოს, წარიმართა თუ არა არბიტრაჟი სამართლიანი პროცესის ძირითადი პრინციპების დაცვით და მიეცათ თუ არა მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა, წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები ტრიბუნალის წინაშე, მათი საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად და მის ფარგლებში. სასამართლო ახდენენ ყველა პროცესუალური ნორმის გადამოწმებას.⁹³

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების არსი და ამ პროცესში სასამართლოს როლი საქართველოს და უცხო ქვეყნების საუკეთესო სასამართლო პრაქტიკაში განიმარტება როგორც: თბილისის სააპელაციო სასამართლო თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითებს: „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ წარდგენილი საჩივრის განხილვის ფარგლებში, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, არსებითად გადასინჯვის საფუძველზე ახალი გადაწყვეტილება გამოიტანოს, თუნდაც საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ არასწორი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი საჩივარი გადაიქცევა აპელაციის მექანიზმად.“⁹⁴

ასევე საინტერესოა კანადის სასამართლოს დამოკიდებულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით. კანადის სასამართლომ განმარტა, რომ „გაეროს კონვენციებისა და მათ საფუძველზე მიღებული კანონმდებლობის მიზანია მხარეთა არჩევანის პატივისცემა დავის განხილვის მექანიზმთან, ფორუმსა და წესებთან დაკავშირებით.

⁹¹ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 119.

⁹² გზამკვლევი არბიტრაჟში, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბ., 2017, გვ. 66

⁹³ იქვე, გვ. 66

⁹⁴ იქვე, გვ. 67

სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა არჩევანის ავტონომიისა და ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა აღსრულების განჭვრეტადობის ინტერესიდან გამომდინარე, სასამართლოებმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა გააუქმონ მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში.⁹⁵ სწორედ ეს დამოკიდებულება, რომ საარბიტრაჟო გაუქმების შესაძლებლობა სასამართლოს ეძლევა გამონაკლის შემთხვევებში ძალიან ზღუდავს იმ უფლებამოსილებას.

სააღსრულებლო წარწერა, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, არბიტრაჟის მიერ გაიცემა 5 დღის ვადაში, ან საკუთარი ინიციატივით. ამის შემდგომ, სააღსრულებლო ფურცელი აღსასრულებლად წარდგინება სააღსრულებლო ბიუროს მოვალის, ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო სააღსრულებლო წარმოება ხორციელდება „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.⁹⁶

⁹⁵ გზამკვლევი არბიტრაჟში, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბ., 2017, გვ. 66

⁹⁶ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 119

3.3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცედურაა, რადგან მთლიანად მასზეა დამოკიდებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არსი. ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა საარბიტრაჟო განხილვა და არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა მის ჩატარებას, რომ არ არსებობდეს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიები.⁹⁷ კონკრეტული სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგები მხარეებისთვის მხოლოდ აღსრულების შემდეგ შეიძლება დადგეს.

უმეტეს შემთხვევაში მხარეები ნებაყოფლობით ასრულებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. მართალია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მხარეების მიმართ გააჩნია სასამართლო გადაწყვეტილებასთან გათანაბრებული სამართლებრივი ძალა, თუმცა თავად არ შეუძლია იქონიოს აღსრულების უფლებამოსილება. იმიტომ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, კი არის გათანაბრებული სასამართლო გადაწყვეტილებასთ, მაგრამ იგი არ არის სუვერენული სამართლებრივი აქტი.⁹⁸ ეს ეხება როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ისე უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს. მხარის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების მიზეზად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ მხარეს არ სურს საკუთარი რეპუტაცია ეჭვის ქვეშ დააყენოს იმით, რომ არ ემორჩილება სამართლებრივად ნამდვილ და იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებას; საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მოქნილი სისტემა მაინც უზრუნველყოფს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.⁹⁹

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საფუძველს წარმოადგენს მისი სასამართლოსმიერი დადასტურება.¹⁰⁰

შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე იურიდიული ძალის მინიჭება დამოკიდებულია სახელმწიფო სასამართლოს მიერ კონტროლის განხორციელებაზე.

აღსრულების პროცესი იგივეა რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის პროცესი, რომელიც ითვლება აღსრულების წინაპირობად. უცხოური სასამართლო აქტის მეორე ქვეყნის

⁹⁷ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 114.

⁹⁸ იქვე, გვ. 141

⁹⁹ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., გამომც., „ბონა კაუზა“, 2008, გვ. 423.

¹⁰⁰ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 146.

ტერიტორიაზე მოქმედების დაშვება არ არის მიზანშეწონილი მისი საფუძვლიანი შესწავლისა და გადამოწმების გარეშე.¹⁰¹

ინგლისური სამართალი ყველაზე ახლოს დაგას საქართველოს კანონმდებლობასთან, რომელიც იმეორებს ნიუ-იორკის კონვენციის ნორმებს.¹⁰² საქართველოს ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ, განსხვავებით ძველი კანონისა, ითვალისწინებს, როგორც ქვეყნის შიდა არბიტრაჟების, ისე უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, რომლის მიხედვით სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის გზით უნდა მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.¹⁰³

საქართველოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმართ, უფლებამოსილ სასამართლოს წარმოდგენს სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლო. მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უნდა წარადგინოს, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან მისი სათანადადოდ დამოწმებული ასლი.

უცხო ქვეყანაში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმის ჩამოყალიბებას ძალიან დიდი დრო დასჭირდა. ვინაიდან ყველა ქვეყანაში ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლის სისტემაა. ასევე ხელისშემშლელი ფაქტორი იყო მოუქნელი კანონმდებლობა, სახელმწიფო მართლმსაჯულების წარმომადგენელთა მხრიდან არბიტრაჟის დამკვიდრებისადმი წინააღმდეგობა და მრავალი სხვა გარემოება. ამ მიმართულებით გადადგმულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ ჟენევის 1927 წლის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“.¹⁰⁴

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება აქვს სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ იმ ორგანოს რომლის უფლებამოსილებაშიც შედის იძულებითი აღსრულება. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ უნივერსალური დოკუმენტია ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესახებ“. მსოფლიო მასშტაბით 120-ზე მეტი სახელმწიფოა ამ კონვენციის წევრი. კონვენციის მესამე მუხლში მოცემულია განმარტება გადაწყვეტილებათა ცნობის და

¹⁰¹ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი) , თბ., გამომც., „ბონა კაუზა“, 2008, გვ .423.

¹⁰² ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 146.

¹⁰³ იქვე, გვ. 146.

¹⁰⁴ გ. წვრილაშვილი, უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, გამომც., „სამართალი“, თბ., 1999, გვ. 53.

აღსრულების შესახებ, რაც ყველა წევრი ქვეყნისთვის წარმოადგენს ზოგად პრინციპს. ამ პრინციპის თანახმად ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მას ამ კონვენციის სათანადო მუხლების გათვალისწინებით და ასევე იმ საპროცესო ნორმების მიხედვით სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა აღსრულება.¹⁰⁵

კონვენციაში ასევე კონკრეტულადაა განმარტებული ის პროცედურა და ძირითადი ასპექტები, რომელიც საერთო უნდა იყოს ყველა მონაწილე სახელმწიფოსთვის. მხარე, რომელიც მოითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, მოთხოვნასთან ერთად უნდა წარადგინოს :

ა) დადგენილი წესით დამოწმებული ნამდვილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ან ასეთივე წესით დამოწმებული მისი ასლი.

ბ) ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება, ან დადგენილი წესით დამოწმებული მისი ასლი. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ან გადაწყვეტილება შედგენილია არა იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, მაშინ მხარე რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულებას წარადგენს ზემოაღნიშნული დოკუმენტების თარგმანს შესაბამის ენაზე. თარგმანი მოწმდება ოფიციალური თარჯიმნის, დიპლომატიური, ან საკონსულო დაწესებულების მიერ. (მუხლი IV).¹⁰⁶ თუ მხარე რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ მოითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმას, ასეთ შემთხვევაში არ გაჭიანურდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი.

ვინაიდან საქართველო არის ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის წევრი ქვეყანა, მასაც აქვს ვალდებულება საზღვარგარეთ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულოს. ეს ვალდებულება ჩვენს ქვეყანას ხელმოწერის დროიდან აქ აღებული მაგრამ განხორციელების მეთოდები შეზღუდული იყო ვინაიდან არ არსებობდა გამართული კანონი.

ახლა კი, როცა ამოქმედებულია კანონი არბიტრაჟის შესახებ არსებობს ნათელი სამართლებრივი სისტემა აღნიშნულის აღსრულების პროცესისთვის. საქართველო როგორც მოგეხსენებათ ნიუ - იორკის კონვენციის წევრი ქვეყანა გახდა 1994 წელს, მაგრამ მიუხედავად ამისა 2009 წლამდე ვერ მოხერხდა მისი რატიფიცირება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტერმინი „ცნობა და აღსრულება“, ფაქტობრივად, არბიტრაჟის შესახებ ამჟამად მოქმედმა კანონმა დაამკვიდრა. 1997 წლის კანონი “კერძო არბიტრაჟის შესახებ” მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ,

¹⁰⁵ გ. წვრილაშვილი, უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, გამომც., „სამართალი“, თბ., 1999, გვ. 54.

¹⁰⁶ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ

ეროვნული არბიტრაჟის საქმიანობას აწესრიგებდა და არ ითვალისწინებდა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონის პრინციპებსა და წესებს.¹⁰⁷ სწორედ ამიტომ საქართველოში ახალი კანონის ამოქმედებამდე შესაბამისად, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული აქტი არ არსებობდა. სწორედ ეს ქმნიდა მთელ რიგ პრობლემებს უცხოეთში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებასთან დაკავშირებით.

შიდა რეგულირებას რაც შეეხება, არბიტრაჟებს მინიჭებული ჰქონდათ მეტად ფართო უფლებები. მათ არ სჭირდებოდათ სახელმწიფო სასამართლოების დასტური თავიანთი გადაწყვეტილებების აღსასრულებლად. აღნიშნულმა უკონტროლო სიტუაციამ სავალალო პრაქტიკამდე მიგვიყვანა. იმართებოდა ფიქტიური საარბიტრაჟო პროცესები, გაჩნდა კორუფცია, რასაც მოჰყვა გახმაურებული პროცესები, როდესაც დადგა ზოგიერთი არბიტრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი.¹⁰⁸

“კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედების პერიოდში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ირღვეოდა მხარეთა არა მარტო საპროცესო უფლებები, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი უფლებებიც. სწორედ ამიტომაც, რომ “არბიტრაჟის შესახებ” ახალმა კანონმა გააფართოვა სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით.¹⁰⁹

ყველა აღნიშნული ხარვეზის გათვალისწინებით, ამჟამად მოქმედ კანონში კანონმდებელმა ჩადო კონტროლის მექანიზმი, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სასამართლოს მიერ მისი ცნობაა საჭირო.

აღსანიშნავია ის ფაქტიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი განიხილება სსსკ-ითა და კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ განცხადების (შუამდგომლობის) განხილვის მიმართ ვრცელდება ნებისმიერი სარჩელის, განცხადებისა თუ შუამდგომლობისათვის დადგენილი ზოგადი საპროცესო მოთხოვნები თუმცა, არბიტრაჟის თავისებურებების გათვალისწინებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების გარკვეულ საკითხებს განსხვავებულად აწესრიგებს სსსკ. მაგალითად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-

¹⁰⁷ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 147.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 147.

¹⁰⁹ მ. ცისკაძე, საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., გამომც., „სამართალი“, 2012, გვ. 442.

აღსრულების საკითხი, არბიტრაჟის სისწრაფის უზრუნველსაყოფად, შედარებით შემჭიდროვებულ ვადაში განიხილება.¹¹⁰

საზღვარგარეთ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებით სარჩელის შეტანა უნდა მოხდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. როგორც ნიუ-იორკის კონვენციის წევრ ყველა სახელმწიფოს სასამართლოს აქვს უფლება დააკისროს საზღვარგარეთ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება მხარეს ასევე აქვს ქართულ სასამართლოსაც.

საყურადღებოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ცობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს, არა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს საპროცესო კოდექსის მიხედვით, არამედ საქართველოს კანონის საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის შესახებ. რომელშიც მოცემულია უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულების მაწესრიგებელი ნორმები.

უკრაინის ქ.ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი.მ-ას სარჩელი კ.ა-ას მიმართ ალიმენტისა და დამატებითი ხარჯების დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა. კ.ა-ას ი.მ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – 2011 წლის 26 ივლისს დაბადებული ლ.ა-ას სარჩენად ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის – მყარი ფულადი თანხის – 4000 გრივნის გადახდა, რომელიც კანონის თანახმად, ექვემდებარება ინდექსაციას, 2018 წლის 2 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. კ.ა-ას ი.მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ.ა-ას სარჩენად 2016-2017წწ პერიოდისათვის დამატებითი ხარჯების – 4000 გრივნის გადახდა. ასევე კ.ა-ას ი.მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ.ა-ას სარჩენად ყოველწლიურად 10000 გრივნის გადახდა.

1. ი.მ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის ქ. ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.
2. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ კ.ა-ა სათანადო წესით ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე. ასევე წარმოდგენილია ცნობა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2019 წლის 28 თებერვალს და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

¹¹⁰ გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბ., 2017, გვ. 94-95.

3. საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ი.მ-ას შუამდგომლობა უკრაინის ქ.ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.
4. შუამდგომლობა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად მოწინააღმდეგე მხარეს - კ.ა-ას გადაეგზავნა და ჩაბარდა 2019 წლის 26 სექტემბერს.
5. მოწინააღმდეგე მხარემ 2019 წლის 07 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა წერილობითი პასუხი, რომლითაც მოითხოვა საქმის ზეპირი განხილვა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 51-ე, 53-55-ე მუხლებით, საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით, 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 70-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით.

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა:

1. ი.მ-ას შუამდგომლობა უკრაინის ქ.ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ქ.ჟიტომირის კოროლიოვის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც კ.ა-ას ი.მ-ას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – 2011 წლის 26 ივლისს დაბადებული ლ.ა-ას სარჩენად ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის – მყარი ფულადი თანხის – 4000 გრივნის გადახდა, რომელიც კანონის თანახმად, ექვემდებარება ინდექსაციას, 2018 წლის 2 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. კ.ა-ას ი.მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ.ა-ას სარჩენად 2016-2017წწ

პერიოდისათვის დამატებითი ხარჯების – 4000 გრივნის გადახდა. ასევე კ.ა–ას ი.მ–ას სასარგებლოდ დაეკისრა ლ.ა–ას სარჩენად ყოველწლიურად 10000 გრივნის გადახდა.¹¹¹

თუმცა სასამართლომ შესაძლოა უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე იყო ქმედუუნარო, ან სამართლებრივი ნორმების მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია; მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნისას ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან რაიმე სხვა საპატიო მიზეზით ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში; საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებულია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით; არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას - იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა; საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს არბიტრაჟის განხილვის საგანი, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი ერთი კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში შესაძლოა მხარეს უარი ეთქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

სასამართლო განჩინების საფუძველზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხდება “სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას, თუ სასამართლო მოახდენს ცნობასა და აღსრულებას.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას ეხება “არბიტრაჟის შესახებ” კანონის 44-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის გათვალისწინებით საქართველოში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება სავალდებულოა შესასრულებლად და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.¹¹² იმ შემთხვევაში, თუ მხარე თავისი ნებით არ ასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსად, დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფილია მის სასარგებლოდ გამოტანილი ასეთი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, რის გამოც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მოცემული ორგანო კერძო

¹¹¹საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საზღვარგარეთ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულების შესახებ.

¹¹²გ. თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გამომც. ”ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017, გვ. 150.

სამართლის სუბიექტების დარღვეული უფლების დაცვის საკმაოდ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.¹¹³

როგორც “არბიტრაჟის შესახებ” კანონში შევიდა ცვლილებები, ასევე შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ცვლილება მდგომარეობს შემდგომში: 2009 წლის 19 ივნისს ამ კოდექსს დაემატა მეშვიდე პრიმა კარი “სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში”.¹¹⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით ერთმანეთისგან გამიჯნულია პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების უფლებამოსილებები საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე¹¹⁵.

აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ: 2015 წლის 16 ივლისს შპს „K.-ს“ წარმომადგენელმა, ზ. ს.-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „საარბიტრაჟო სასამართლოს“ 2015 წლის 24 აპრილის №22-2015 გადაწყვეტილების ცნობა აღსრულება მოითხოვა (ს.ფ. 2). მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „საარბიტრაჟო სასამართლოს“ 2015 წლის 24 აპრილის №22-2015 გადაწყვეტილებით შპს „K.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ნ. კ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX) შპს „K.-ს“ სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა: სესხის ძირი თანხის - 250 ლარის, პირგასამტეხლოს ა) 2014 წლის 27 დეკემბრიდან 2015 წლის 24 მარტის ჩათვლით 131 ლარის, ბ) სესხის ძირი თანხის 0.5 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2015 წლის 25 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; საარბიტრაჟო მოსაკრებლის - 150 ლარის გადახდა (ს.ფ. 4-8). საქმეში წარმოდგენილია 2015 წლის 24 სექტემბრის აქტი (ს.ფ. 16), რომლის მიხედვითაც, შპს „K.-ს“ წარმომადგენელს, ზ. ს.-ს ეცნობა, რომ სამოქალაქო საქმეზე №2ბ/3306-15, განცხადება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თაობაზე, მიღებულ იქნა წარმოებაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 35612-ე, 372-ე, 183-ე და 184-ე მუხლების შესაბამისად, განმცხადებლის წარმომადგენელს განემარტა, რომ ის ვალდებულია განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად მოპასუხეს ჩააბაროს, ხოლო ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოს 2 თვის ვადაში წარმოუდგინოს. განმცხადებლის წარმომადგენელს განემარტა, რომ ვადის დენა მითითებული აქტის გაცნობის

¹¹³ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ.144

¹¹⁴ საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონული ბაზა: <https://matsne.gov.ge/>

¹¹⁵ მ. ცისკაძე, საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, გამომც., „სამართალი“, თბ., 2012, გვ. 443.

მომდევნო დღიდან დაიწყებოდა. ამასთან, განემარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მითითებული გზავნილი თანდართულ მასალებთან ერთად მოპასუხეს (მოპასუხეებს) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78 მუხლებით დადგენილი წესით არ ჩაბარდა და შესაბამისი მტკიცებულება ამავე ვადაში სასამართლოში წარმოდგენილი არ იქნებოდა, სასამართლო განცხადებას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა - აღსრულების თაობაზე, განუხილველად დატოვებდა. განმცხადებლის წარმომადგენელს, ასევე დამატებით განემარტა, რომ თუ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომის გამოყენების მიუხედავად, გზავნილს მოპასუხეს ვერ ჩააბარებდა, ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილი იქნებოდა სასამართლოსთვის გზავნილის მოპასუხისათვის (მოპასუხეებისათვის) საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების მოთხოვნით მოემართა.

სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ შპს „K.-ს“ უარი უნდა ეთქვას მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „საარბიტრაჟო სასამართლოს“ 2015 წლის 24 აპრილის №22-2015 გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 35612 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 35623 მუხლის შესაბამისად, სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარს განაცხადებს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ დავის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტის თაობაზე მხარეთა შეთანხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით - გარიგებაა, რომელიც ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს პირობებს, რათა ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი. შესაბამისად, მხარეები ვალდებული არიან შეთანხმებაში კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება მიუთითონ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი განსაზღვრავს საარბიტრაჟო შეთანხმების ცნებას და ფორმას. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე;

- პალატა ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის შესაბამისადაც, თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით, ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ. ასეთ შეთანხმებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-4–მე-6 პუნქტები.
- პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მსესხებლის, ნ. კ.-ს მიერ ხელმოწერილი არ არის. პალატა არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა მსესხებელი მართლაც გაცნობილია ხსენებულ სესხის ხელშეკრულებას, თუმცა, აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა მსესხებლის მიერ ხელშეკრულების პირობების გაცნობის ფაქტი. უფრო მეტიც, კიდევ რომ წარმოდგენილი იყოს ასეთი მტკიცებულება, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ნ. კ. ფიზიკური პირია, მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმების დადებამ ვერ ჩაითვლება. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი შეთანხმება არბიტრაჟზე.

ამდენად, პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება საარბიტრაჟო განხილვაში მოწინააღმდეგე მხარის, ნ. კ.-ს მონაწილეობა, რითაც მითითებული სუბიექტი საქმის განმხილველი არბიტრაჟის კომპეტენციას დაადასტურებდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „K.-ს“ უარი ეთქვას მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „საარბიტრაჟო სასამართლოს“ 2015 წლის 24 აპრილის №22-2015 გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე;¹¹⁶

აღნიშნული განჩინება არის იმის მაგალითი, რომ საქმეში მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო მხარეს შესაძლოა უარი ეთქვას გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებაზე. როგორც მოგეხსენებათ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება არც საკასაციო და არც კერძო საჩივრით.

თუ გადავხედავთ იურიდიულ ლიტერატურას, ვნახავთ რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობას განმარტავენ, როგორც სასამართლოს დასტურს, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეებისათვის. მას განიხილავენ, როგორც აღსრულების სამართლებრივი წინაპირობა. კონკრეტული სამართლებრივი თუ ეკონომიკური

¹¹⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ.

შედეგი კი მხარეებისათვის მხოლოდ აღსრულების შემდეგ შეიძლება დადგეს. სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან ერთად ადასტურებს ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობასაც. სწორედ ამიტომაც, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლოებს ერთდროულად მიენიჭა არბიტრაჟის გადაწყვეტილების როგორც ცნობის, ისე აღსრულების კომპეტენცია.¹¹⁷

თუ გადავხედავთ გერმანული სამართლის სისტემას, ვნახავთ, რომ აუცილებელია ე.წ. აღსრულებაუნარიანად გადაწყვეტილების აღიარება. როგორც გერმანული კანონმდებლობა ითვალისწინებს გერმანიაში ქვეყნის შიგნით მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო ცნობა არ ხდება.¹¹⁸ გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იცნობს მხოლოდ აღსრულების პროცესს. გერმანიაში სასამართლო ცნობა ხდება მხოლოდ ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისა.¹¹⁹

განსხვავებით ქართული სამართლის სისტემისგან გერმანული სამართალი იცნობს ე.წ. კუმულატიურობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს მეორე სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მხოლოდ იმ სამართლებრივი შედეგების ცნობას, რომელიც ამ მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობით არის დასაშვები.¹²⁰

მხარეები ხშირად მიმართავენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა დაადასტუროს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. ამ დროს დგება საკითხი, რომელი გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, საარბიტრაჟო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადასტურდა. გერმანიის უზენაესი სასამართლო მიემხრო დოქტრინაში რ. შლოსერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც კრედიტორს უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება, რათა თვითონ გადაწყვიტოს, რომელს წარადგენს აღსასრულებლად.¹²¹

აღსანიშნავია, რომ ფ. შვაბი, ვოლტერი და შუტცე ეწინააღმდეგებიან ამ მოსაზრებას რამდენიმე არგუმენტის გამო.

1. ამ დროს ყოველთვის იქმნება ე.წ. ორმაგი აღსრულების საფრთხე, კრედიტორის მიერ ორივე მათგანის წარდგენის შემთხვევაში.

¹¹⁷ მ. ცისკაძე, საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., გამომც., „სამართალი“, 2012, გვ. 442

¹¹⁸ ნ. ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 146.

¹¹⁹ იქვე, გვ. 146.

¹²⁰ იქვე, გვ. 148.

¹²¹ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2008, გვ. 547-548.

2. სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცედურა და უარის თქმის საფუძვლები ერთნაირი არ არის. მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე ვერ იქნება უარი ნათქვამი იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც იყო მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არ იყო ნამდვილი.¹²²

ამას გარდა, მსოფლიო პრაქტიკაში ფრანგულ ენაზე არსებობს ცნობილი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა აღსრულებადი გადაწყვეტილებებისა, თუ ისინი თავის მხრივ სხვა სახელმწიფოს გადაწყვეტილებების აღსრულებას ეხება. ამგვარად, საერთაშორისო პრაქტიკა უარყოფს ორმაგ აღსრულებას.¹²³ ამ ფართოდ გავრცელებული, მაგრამ, როგორც წესი, დაუწერელი დებულების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმა სახელმწიფომ თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ უცხოურ გადაწყვეტილებებს ცნობს და ამით გამორიცხოს უცხოეთიდან რაიმე მითითებების შესრულება. ასეთი სახის შეზღუდვა რომ არ არსებობდეს, შეიძლება საკმაოდ გაუთვალისწინებელი შედეგები მიგვეღო. მაგალითად, ბრიუსელის კონვენციის (რომელიც პარტნიორი ქვეყნების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების გამარტივებულ პროცედურას ადგენს) წევრ სახელმწიფოს შეემლებოდა თავისი აქტით, რომლითაც იგი სხვა სახელმწიფოს გადაწყვეტილებას ცნობს, ამავდროულად დაევალებულინა კონვენციის ყველა დანარჩენი მონაწილე, ელიარებინათ ეს გადაწყვეტილება. ვინაიდან ორმაგი აღსრულების შემთხვევაში უცხოური სააღსრულებო გადაწყვეტილება ადგენს მის აღსრულებადობას მხოლოდ აქტის გამომცემი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამიტომ ეს გადაწყვეტილება თავისთავად ვერ ასრულებს უცხოური აქტის ცნობისთვის საჭირო წინაპირობებს.¹²⁴ რამდენადაც აღსრულებადად გამოცხადება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უცხოური გადაწყვეტილებისთვის შიდასახელმწიფოებრივი იურიდიული ძალის მინიჭებაა, შეგვიძლია განვსაზღვროთ აღსრულებადად გამოცხადების სამართალწარმოების დავის საგანი.¹²⁵ ეს არის არა უცხოური გადაწყვეტილების საფუძველი ანუ მატერიალურ-სამართლებრივი დავა, არამედ კრედიტორისაგან უცხოური გადაწყვეტილებისთვის შიდასახელმწიფოებრივი აღსრულებადობის მინიჭების მოთხოვნა.

გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 1984 წელს გერმანიის უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ კრედიტორის

¹²² ნ. ფირცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 148.

¹²³ ლ. გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, გვ. 125.

¹²⁴ ნ. ფირცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 150.

¹²⁵ ლ. გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, გვ. 127.

ასარჩევია პირდაპირ წარადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აღსასრულებლად, თუ ჯერ გამოტანის ადგილის მიხედვით მიმართავს შესაბამის სასამართლოს და იქ გადაწყვეტს აღსრულების საკითხს და მერე ამ სააღსრულებლო დოკუმენტს გერმანიაში წარადგენს აღსასრულებლად როგორც სასამართლო გადაწყვეტილებას.¹²⁶

გერმანიის სასამართლო უარს ამბობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.¹²⁷

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საჯარო წესრიგის ცნებას. მისი არსი კი მდგომარეობს შემდეგში: საჯარო წესრიგი საერთაშორისო არბიტრაჟის ერთერთი ყველაზე პრობლემური ცნებაა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გადაწყვეტილების გაუქმების, ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის პროცესში. განსაკუთრებით კი მაშინ თუ გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის საჯარო წესრიგთან.¹²⁸

თუ გადავხედავთ საერთაშორისო და საქართველოს პრაქტიკას საჯარო წესრიგი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შედავების ყველაზე ხშირად გამოყენებული საფუძველია. თუმცა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში საჯარო წესრიგი გაცილებით ხშირად ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძველი; ამასთან, მისი დღევანდელი განმარტება რისკის ქვეშ აყენებს არბიტრაჟის დამოუკიდებლობას და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობას.¹²⁹

¹²⁶გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი) , თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2008, გვ. 449.

¹²⁷ იქვე, გვ. 449.

¹²⁸ იქვე, გვ. 435-436.

¹²⁹ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში; საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018, გვ. 34.

თავი IV. კვლევის შედეგები

კვლევის პროცესში გამოიკვეთა თუ რა იყო ყველაზე ხშირად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი. ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ხშირი საფუძველი საჯარო წესრიგია ან ის, რომ მხარეს საარბიტრაჟო პროცესის შესახებ სათანადო შეტყობინება არ მიეცა.

საჯარო წესრიგი ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. საჯარო წესრიგი ქვეყნის კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების ერთობლიობაა საპროცესო-სამართლებრივი საჯარო წესრიგი დარღვეულად ითვლება, როცა საარბიტრაჟო წარმოების დროს დარღვეულია იმ ქვეყნის საპროცესო სამართლებრივი იმპერატიული ნორმები, სადაც, გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება არის მოთხოვნილი.¹³⁰

ქართული კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება თუ არსებობს გაუქმების საფუძველები, ეს დათქმა კი საკმაოდ ბუნდოვანია და მოსამართლეს უფლებას აძლევს თითქმის ყველა შემთხვევაში გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების და გაუქმების პროცესში იყენებს საჯარო წესრიგის ბუნდოვან ცნებას, რაც ძალიან აკნინებს არბიტრაჟის როლს და მაქსიმალურ უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს.

არბიტრაჟის მიმართ, რომ ნდობა ქონდეს საზოგადოებას აუცილებელია სრულდებოდეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და უხეშად არ ხდებოდეს სასამართლოს ჩარევა.

კვლევამ გვაჩვენა, რომ სასამართლოს მხრიდან არბიტრაჟის კონტროლი აუცილებელია მაგრამ უხეში ჩარევის უფლება არ უნდა ქონდეს.

შედარებით - სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გამოჩნდა არბიტრაჟის როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარე. მისი უპირატესობა საერთო სასამართლოებთან მიმართებით. შევადარე ქართული და უცხოური კანონმდებლობა არბიტრაჟთან დაკავშირებით, რამაც გამოკვეთა ქართული კანონმდებლობის ხარვეზები.

ქართული კანონმდებლობის UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან გამოიკვეთა მცირე ხარვეზი, რომელსაც ცნობა აღსრულების პროცესში გარკვეული დაბრკოლებების შექმნა შეუძლია. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ 45-ე მუხლის პირველ პუნქტი არასწორადაა ნათარგმნი UNCITRAL-ის მოდელური კანონიდან. UNCITRAL-ის მოდელური

¹³⁰ ნ. ფირცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015, გვ. 135.

კანონის 36-ე მუხლში ზუსტად არის ჩამოთვლილი თუ რა შემთხვევაში უნდა ეთქვას პირს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა - აღსრულებაზე უარი. „მხოლოდ“ იმ შემთხვევების არსებობისას აქვს სასამართლოს უარის თქმის უფლება. ხოლო საქართველოს კანონმდებლობა ბუნდოვანია, რადგან კანონმდებელს სიტყვა „მხოლოდ“ მთლიანად აქვს ამოღებული მუხლიდან და სასამართლოს აძლევს ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.¹³¹

გამოიკვეთა სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების ტენდენცია. სასამართლო პრაქტიკის გაცნობის შედეგად გამოჩნდა, რომ საქართველოს სასამართლოების მოსამართლეები მეტწილად იყენებენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს და ნაკლებად ხელმძღვანელობენ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით. სასამართლოები ხშირად ითხოვენ ისეთ დოკუმენტებს, რომელთა გამოთხოვა კანონით არ არის გათვალისწინებული.

ლოგიკური ანალიზის გამოჩნდა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების მოგვარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო კანონმდებლობის კიდევ უფრო დახვეწა და სასამართლოს როლის შემცირება.

¹³¹ გ. თითბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, გამომც. ”ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017, გვ. 154.

დასკვნა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებით გამოიკვეთა არბიტრაჟის საჭიროება და აუცილებლობა სამართლებრივ ურთიერთობებში. უდავოა არბიტრაჟის, როგორც კერძო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. საქმიანი წრის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან სამეწარმეო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების რაც შეიძლება სწრაფად და მათთვის სასურველი პროცედურების შესაბამისად გადაწყვეტით. ამ მხრივ, არბიტრაჟი უდავოდ მოქნილ და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არბიტრაჟი ატარებს კერძო ხასიათს და შესაბამისად მხარეებმა უნდა მიმართონ სასამართლოებს საარბიტრაჟო შეთანხმებების და აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის. აქედან გამომდინარე, რეალურად საარბიტრაჟო პროცესს არ აქვს ძალა სასამართლოს მხარდაჭერის გარეშე. ყოველივე ეს განმარტავს, თუ რატომ არ არის დაინტერესებული ზოგიერთი ქვეყანა საერთაშორისო არბიტრაჟით, და ეს ხდება მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი სასამართლო სისტემა არ უჭერს მხარს არბიტრაჟს. სახელმწიფოებსა და კერძო კომპანიებს შორის საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების გაზრდა მოითხოვს საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესის მეტ ეფექტურობას, გამოსავალი მდგომარეობს ეროვნული საარბიტრაჟო კანონმდებლობის რეფორმირებასა და ეროვნული სასამართლოს სენსიბილიზაციაში საარბიტრაჟო პროცესის მიმართ, რის გარეშეც არბიტრაჟი კვლავ არაეფექტური იქნება, განსაკუთრებით ეკონომიკის განვითარების პირობებში.

საყოველთაოდ არის აღიარებული არბიტრაჟის დამოუკიდებლობისა და საარბიტრაჟო განხილვაში სასამართლო ორგანოების ჩაურევლობის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. მართალია, ერთის მხრივ სახელმწიფო თავად ახდენს არბიტრაჟის დამოუკიდებლობის საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტაციას, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგი მუდმივად ახორციელებს კონტროლს საარბიტრაჟო განხილვაზე. ერთის მხრივ, ეს გამართლებულია, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასამართლიანი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება, ან თუნდაც კანონდარღვევით მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების მხარეებზე გავრცელება. საარბიტრაჟო განხილვის მონაწილეთა ინტერესებში არ შედის სრული უარის თქმა სახელმწიფო კონტროლზე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არბიტრაჟი უნდა მოექცეს სასამართლოს სრული კონტროლის ქვეშ. სახელმწიფოებისთვის არბიტრაჟის არსებობა სასურველია, რათა განიტვირთოს სასამართლოები, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საარბიტრაჟო

სამართალწარმოებისას სასამართლოსადმი მიმართლის უამრავ შესაძლებლობას. არბიტრაჟის ხანგრძლივობა იმის გამო, რომ დაშვებულია მისი გასაჩივრება, იჭიმება. აქედან გამომდინარე არბიტრაჟის ძირითადი დადებითი ნიშანი მოქნილობა სუსტდება.

არბიტრაჟის ერთ-ერთი დადებით მხარეს წარმოადგენს არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობა, რის გამოც არბიტრაჟი ფაქტიურად ერთადერთი ინსტანციაა, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს მას სასამართლოებთან მიმართებაში, სადაც ხშირად საქმეები ინსტანციიდან ინსტანციას გადაეცემა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, როგორც წესი, საბოლოოა. თუმცა რეალობაში მისი გასაჩივრება შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოში, ამიტომ ეს ნიშანიც იკარგება.

ნაშრომიდან ირკვევა, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ნებაყოფლობითია და არბიტრაჟს არ აქვს იძულების მექანიზმი.

ასევე ირკვევა, რომ უშუალოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტის ცნობისა და აღსრულების პროცესი მთლიანად დამოკიდებულია სასამართლოზე და მას აქვს აღსრულების იძულების უფლებაც.

საქართველოს კანონმდებლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების კუთხით ბოლო წლების განმავლობაში დაიხვეწა და მაქსიმალურად მიუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან ჯერაც ბევრი ხარვეზია ქართულ კანონმდებლობაში.

სასამართლო განსჯადობის საკითხები უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით საქართველოში მთლიანად უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაშია. ხოლო ქვეყნის შიგნით მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხს არეგულირებს სააპელაციო სასამართლო.

გასაჩივრებას არ ექვემდებარება არც უზენაესი და არც სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები, ისინი საბოლოოა და სავალდებულო აღსასრულებლად.

ძირითადი პრობლემა რაც საარბიტრაჟო საქმიანობასთან დაკავშირებით იკვეთება არის ის რომ სასამართლოსთვის მინიჭებულია ძალიან დიდი უფლებამოსილება. მას ყველა ეტაპზე აქვს საარბიტრაჟო საქმიანობაში ჩარევის უფლება. შეიძლება ითქვას რომ სასამართლოს ძალიან დიდი დოზით აქვს არბიტრაჟის კონტროლის უფლება, რაც ხელს უშლის არბიტრაჟის დამოუკიდებლობას.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირებულების პრობლემა. ქართულ საზოგადოებას პრაქტიკულად არ აქვს მნიშვნელოვანი ინფორმაცია არბიტრაჟის შესახებ. აქ აქვთ ნდობა მის მიმართ. ქვეყანაში საარბიტრაჟო საქმიანობის

განვითარებისთვის ყველაზე დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამ მხრივ ძალიან დიდი როლი ეკისრება სახელმწიფოს

მიმაჩნია, რომ ძლიერი არბიტრაჟი დაეხმარება ქვეყანაში ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას და გაფართოებას.

მნიშვნელოვანია დაზუსტებული იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები. კანონში უფრო კონკრეტულად მოხდეს ამის ჩაწერა და აღმოიფხვრას ყოველგვარი ბუნდოვანი ცნებები. ასევე მნიშვნელოვანია უფრო დაიხვეწოს სასამართლო პრაქტიკა, მოხდეს არბიტრების კომპეტენციების ამაღლება და საკვალიფიკაციო სტანდარტების დახვეწა.

ნაშრომის მიზანია აღნიშნული პრობლემების საფუძველზე მეტად მოხდეს საარბიტრაჟო საქმიანობის დახვეწა და პოპულარიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობარი მოსამართლეებისთვის, კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო;
2. ანგარიში საქართველოს საარბიტრაჟო ცენტრის დაფუძნების შესახებ, თბ., 2014;
3. არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში; საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018;
4. ბეხმანი მ. დ., ADR-ის შეფასება საქართველოში;
5. გზამკვლევი არბიტრაჟში, საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბ., 2017;
6. გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010;
7. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ცენტრი - მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013;
8. თითბერიძე გ., საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ კომენტარი, თბ., გამომც. „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, 2017;
9. კერძო არბიტრაჟი საქართველოში, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა, გზამკვლევი, თბ.;
10. ოსტერმილერი ს. მ., სვენსორი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014;
11. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფები, ტომი II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1987 ;
12. ფირცხელაური ნ., დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ., 2015;
13. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, ჟურნალის მეორე გამოცემა, თბ., 2013;
14. ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2002;
15. ცერცვაძე გ., საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2008;
16. ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, თბ., 2013;

17. ცისკამე მ., საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012;
18. წვრილაშვილი გ., უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები, თბ., გამომც. „სამართალი“, 1999;

სასამართლო პრაქტიკა

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე №ა-4097-შ-109-2019;
20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმე №2ბ/3306-15;

ნორმატიული აქტები

21. საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ, თბ., 1997;
22. საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, თბ., 1997;
23. საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997;
24. ნიუ-იორკის კონვენცია უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ, 1958;
25. 1907 წლის კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ;

ვებ. გვერდები

26. <https://matsne.gov.ge/>
27. <https://nplg.gov.ge/>
28. <http://www.supremecourt.ge/>
29. <http://www.tbappeal.court.ge/>